

კიბენური რედაქცია

მაისსა :თ: და ღეკეებერსა :ვ:

**ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და საკრველთ-
მოქმედისა გამოსა ჩუენისა ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსისა
მიერჲ ქალაქისა, რომელ არს ქუეყანასა ლუკიისასა***

თარგმნილი წა აუთჳმომი მთაწმიდელის მიერ

10

 ხორეზანი და მოქალაქობანი ღმერთ-
შემოსილთა და წმიდათა მამათანი
მსგავს არიან მაგალითსა მხატვარ-
თასა. ჩამეთუ ვითარცა ივინი გან-
იცდიან პირველ-გამოსახულსა მას სახესა და
ცელოვნებით მიაგზავსებენ გამოწერილსა მას
და შუენიერად განაწესებენ მრავალფეროთა სახე-
თა, ვერეთვე, აღწერად ქველის-საქმეთა და სათ-
ნოებათაჲ სახე კეთილისა და საღმრთოჲსა შუ-
რისაჲ ექმნების მკითხველთა და მსმენელთა და
ბაძვად საქმეელთა მათ საქმეთასა განაფრთხობს,
ვითარ-ესე არს ცხორებაჲცა წმიდისა მამისა ნი-
კოლოზისი და უმეტესელა ყოველთასა, რამეთუ
განაკერვებს სასმენელთა და მხიარულ-ჰყოფს
გულთა და განაღვებებს გონებათა სათნო-ყოფად
ღმრთისა კეთილად ქცევითა და მოღუაწებითა.
წმისთვს, შეწვევითა უფლისაჲთა, ცელ-ვეოთ
ძალისაებრ ჩუენისა აღწერად მოქალაქობასა
მისსა, რომელი აქამომდეცა არა დაფარულ არს,
არამედ განთქუმულ კიდეთა ქუეყანისათა. ჩა-
მეთუ უადვილეს არს ვარსკულავთა ცისათა ანუ
ქვშათა ზღვს პირისათა აღრაცხვად, ვიდრელა
სასწაულთა და საკრველებათა ნეტარისა მის
მამისათა. წარნა მრავლისა და აურაცხელისა-
გან მცირელი და კნინოდენი აღწეროთ, რადთა
მხიარულ-ვევენთ სულნი ღმრთის-მოყუარეთანი.

2. წმის დიდისა და ღმერთშემოსილისა და
საკრველთ-მოქმედისა მამისა მამული იყო ქა-
ლაქი იგი, რომელსა ეწოდების პატარონ, ქუეყ-
ანასა ლუკიისასა. ოა იყვნეს მშობელნი მისნი
მორწმუნენი და ღმრთის-მსახურნი, შემკობილნი
ყოვლითა ქველის-საქმითა, წარჩინებულნი ქუ-
ეყანასა მას შინა ლუკიისასა და სახელოანნი,
მდიდარნი მონაგებითა და მოწყალენი გლახაკ-
თანი. წრარად შეერაცხა მათ სიმდიდრე და საფა-
სენი ჳორციელნი, არამედ სურვილი და წადიერე-
ბაჲ მათი ყოველივე იყო აღსრულებად მცნებათა

უფლისათა. წწოდებოდა ღირსსა მას და ღმრ-
თის-მოყუარესა კაცსა ეტყუანე და პატიოსანსა მას
მეუღლესა მისსა ნონას. წსე ღმრთის-მოყუარენი
მეუღლენი ჳეშმარიტად იყვნეს ვითარცა ხენი დან-
ერგულნი თანა-წარსადინელსა წყალთა მათ ღმრ-
თის-მსახურებისათა (შეად. ფს. 1,3). წმისთვსცა
გამოსცეს ჳამსა თვსსა ნაყოფი იგი სურნელებისაჲ
და ხილი სიტკბოებისაჲ — წმიდაჲ ნიკოლოზ. ოა
მეყსეულად საკრველითა ბერწობისაჲთა შეიკრა
საშოჲ დედისა მისისაჲ და ვგო მიერთებან ბერწ და
უშვილო. ჩანდვლვე საქმით ქადაგებდა ბუნებაჲ,
ვითარმედ ვერღარა შემძლებელ არს ესევითარისა
სხვსა ნაყოფისა გამოღებაჲ, არამედ იგი ზოლო
აღმოაცენა ღირსმან მან დედამან პირმშოჲცა და
უკუანადგენელი მორჩი სიწმიდისაჲ და მოიგო
მეუღლითურთ თვსით ნაყოფიერებაჲ სულიერი
აურაცხელი კეთილისა მის შვილისა ნიკოლოზის
მიერ, რომელმან-იგი შობითგანვე მსგავსებაჲ ნათ-
ლისმცემელისაჲ გამოაჩინა. ჩამეთუ ვითარცა მან,
გერეთვე ამანცა განწნა ბერწობაჲ დედისაჲ შო-
ბითა თვსითა და მეყსეულად დაჰბეჭდა.

3. ღოლო მესამესა დღესა შობისა მისისასა,
ბანდეს რად ყრმასა მას საბანელსა შინა, ეუწყა
ყოველთა მას ჳამსა, რამეთუ იყო მადლი ღმრთი-
საჲ მის ზედა, და ძალითა მისმიერთა დადგა იგი
მართლ ფერწთა თვსთა ზედა ცელ-განჰყრობით
აღმოსავალით კერძო, ვითარ სამ ჳამ ოდენ. ოა
შეეშინა მშობელთა მისთა და განკერდეს მახლო-
ბელნი და ადიდებდეს ღმერთსა. ოა რაჳამს იგი,
წესისაებრ ბუნებითისა ჩჩვლთაჲსა, ენება წოვნაჲ
ბუძესაჲ, აჩუენა მაშინცა უფალმან — თუ ვითარი
ყოფად არს ყრმაჲ იგი, მიიწიოს რად ჰასაკად სიტკა-
ბუკისა. ჩამეთუ სხუათა მათ დღეთა შვდეულისათა
ივმარებნ წოვნასა ბუძესასა წესისაებრ ჩჩვლთაჲ-
სა, ზოლო მოიწიოს რად ოთხშაბათი და პარასკევი,
ერთგზის ოდენ შემდგომად მზისა აღვსებისა იზი-
ლის გემოჲ სძისაჲ მის. ოა წესსა მას მარხვისასა

* ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა ნიკოლოზ სასწაულთ-მოქმედისაჲ, გამოსცეს გრ. აუხაძემ და გ. წობჯანიძემ, თბ., 2013. წგ. 5-48.

სიჩრდითგანვე აღასრულებდა, ვითარცა ეგულებო-
და აღორძინებასა თანა ჰასაკისასა აღორძინებად
მარხვისა და მოღუაწებისა.

სევეითართა წესითა და სახითა აღიზარდებო-
და შვილი იგი მამისა მის ზეცათაჲსად, რამეთუ
აღსრულებულ იყო მის ზედა სიტყუად იგი სახ-
არებისად, რომელსა იტყვს, ვითარმედ: «მისცა
მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად» (ინ.
1,12). ოა ისწავლიდა ყოველსა სათნოებასა და სა-
ღმრთოსა მოქალაქობასა კეთილთა მათ მშობელთ-
აგან და უმრავლესსა თავით თვსით გამოსცემდა
ნაყოფსა ღმრთის-მსახურებისასა, ვითარცა ქუეყ-
ანად კეთილი და ვითარცა ზე ნაყოფიერი.

ჴოლო მოეწიოფა რად ჰასაკსა მოსწავლეთა-
სა, მიეცა სასწავლელად მოძღუარსა კეთილსა. ოა
ვითარ-იგი იყო გონებაჲ მისი ღმრთისმიერ
განათლებულ, ჟამთა მოკლეთა ყოველი სწავლად
კეთილი შემოიკრიბა გულად თვსად, განცხრომა-
ნი ყრმებურნი სრულიად მოიძაგნა და მოყუსობა-
სა უწესოსა და მრავლის-მეტყუელებათა ცუდთა
განეშორა, დედათა თანა აღრეგასა ანუ ყოვლადვე
მიხედვასა დედათასა უცხო-ექმნა. ჩამეთუ სიწ-
მიდე ჴუმბარიტი სიყრმითგანვე შეიყუარა და მა-
რადის წმიდათა ქრისტეს ეკლესიათა, ვითარცა
ირემი წყურიელი წყაროსა წყალთასა, ეგრეთ
სურვიელ იყო მისვლად და ვედრებად უფლი-
სა. ჩამეთუ სწადოდა და მოსწრაფე იყო თავი-
სა თვსისა ტაძარ ღმრთისა ყოფად და ამისთვს
აღიზრია მსგავსად დავითისა მივრდომად სახლსა
უფლისასა.

4. ჴოლო იყო ამის ნეტარისა მამის-ძმად და
ეწოდებოდა მასცა **ნიკოლოზ**, რომელი-იგი მრავ-
ლით ჟამითგან განშორებულ იყო სოფლისაგან
და მონაზონებისა სახე შეემოსა. ოა აღეშენა მას
მონასტერი და მას ოდენ ჟამსა აშენებდა ეკლესია-
სა შუენიერსა სახელსა ზედა წმიდისა **სიონისასა**.
რმას ღირსსა **ნიკოლოზ** ესმა რად მძისწულისა
მის თვსისა ესევეთარი წესიერებაჲ და საღმრთოდ
მოქალაქობად, აღივსო სიხარულითა და მიუწ-
ერა მმასა თვსსა წარვლინებად მისა, რადთა იხ-
ილოს იგი და აკურთხოს. წარავლინა ღირსმან
ეტიჟანე კეთილი იგი შვილი და იხილა რად იგი
მამის-ძმამან მან, მისცა მადლი უფალსა და აკ-
ურთხა იგი ყოვლითა კურთხევითა, და მრავალთა
დღეთა იყოფოდა იგი მისთანა და ზედვიდა წესსა
მას მონაზონებისასა და წადიერ იყო შემოსად
სახისა მის ანგელოზებრისა. ჴოლო მამის-ძმამან
მისმან წარავლინა იგი კუალად მშობელთა თვსთა
მიმართ და მიერიტგან ზედაჲს-ზედა მივალნ იგი

მონასტრად და ჰმსახურებნ შენებასა მას ეკლე-
სიისასა და არნ იგი ზედა-მდგომელ საღმრთოდსა
მის საქმისა.

ჴედვიდა რად ნეტარი იგი **ნიკოლოზ** მძის-
წულსა თვსსა, ყოვლითა სათნოებითა შემკო-
ბილსა და საშოთგანვე დედისადთ სიწმიდით
და ღმრთის-მოშიშებით აღზრდილსა, განაზრახა
მმასა თვსსა მოყვანებად იგი ჰატეგსა მდღელო-
ბისასა. წრჩნდა იგი კეთილსა მას განზრახვასა და
მოიყვანეს ორთავე ძმათა წმიდაჲ იგი **ნიკოლოზ**
წინაჲ **ფილიპე** მთავარებისკობისა **მირონ** ქა-
ლაქისა, რადთა აკურთხოს დიაკონად. ჴოლო მთა-
ვარებისკობსმან იხილა რად იგი, გულისკმა-ყო-
სულითა წმიდითა, ვითარმედ მადლი ღმრთისად
არს მის ზედა. ოკურთხა იგი დიაკონად და შემდ-
გომად მცირედისა ჟამისა მოუწოდა და აკურთხა
ზუცად, და იყო მთავარებისკობისი იგი სავესე
სულითა წმიდითა, წინაწარმეტყუელა მისთვს და
თქუა, ვითარმედ: «იყოს ესე ნუგეშინის-მცემელ
ჭირვეულთა და მწყსიდეს სულთა მრავალთა და
შეცთომილნი მოაქცინეს გზად ცხორებისა და
დელვა-გუემულთა ექმნას ნავთსაყუდელ მყუდ-
რო». ჴოლო წინაწარმეტყუელებად ესე ღირსისა
მის მდღელთ-მოძღურისად, ვითარ მტკიცე იქმნა
და აღესრულა, შემდგომმან სიტყვსამან საც-
ნაურ-ყოს.

5. ძაშინ უკუე, მიიღო რად სანატრელმან **ნი-
კოლოზ** კურთხევაჲ მდღელობისად, ესოდენ წა-
რებატა მიერიტგან და განემტკიცა სათნოებათა
აღსრულებად, რომელ ვერცა შემძლებელ არს
ენად ჩუენი გამოთქუამად. ჩამეთუ მღვდარებასა
და ლოცვასა და მარხვასა ესოდენსა მისცა თავი
თვსი, რომელ ანგელოზთა ცხორებასა მობაძვე
იყო გუამითა ამით მოკუდავითა. რმისთვსცა სახე-
ლი სათნოებათა მისთად ყოველთა მათ გარემო
სოფელთა განითქუა და მადლი ღმრთისად იყო
მის ზედა. ჴოლო მას ჟამსა მამად მისი **ეტიჟანე**
მიიცვალა სოფლისა ამისგან, და შემდგომად
მცირედისა ჟამისა შეისუენა დედამანცა **ნონა**, და
დაშთა ნეტარი **ნიკოლოზ** ჴელმწიფე მონაგებისა
მათისად. ჴოლო დაჰმარხნა იგინი და აღასრუ-
ლა მათ ზედა რად-იგი ჯერ-იყო აღსრულებად
მშობელთა ზედა შვილის-მოყუარეთა შვილისა-
გან კეთილისა და კურთხეულისა. ჩამეთუ საფასე
ფრიადი და მონაგები დიდი მისცა გლახაკთა და
ეკლესიათა საცხენებელად მათდა, რამეთუ იყო
იგი სიმდიდრისა მოძულე და მოყუარე მცნებათა
უფლისათა. რმისთვსცა მკურვალთა ცრემლი-
თა ევედრებოდა უფალსა და იტყოდა: «მაუწყე

მე, უფალო, გზად, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდაში აღვიღე სული ჩემი» (ფს. 142,8); «მასწავე მე ყოფად ნებაჲ შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი» (ფს. 142,10); «ღედის მუცლით ჩემითგან შენდა შევევარდი მე, საშოდთგან ღედის მუცლით ჩემითგან. იმერთი ჩემი ხარი შენ, ნუ განმეშორები ჩემგან» (ფს. 21,10), და ესმოდა სიტყუადცა **დავითისი** გულისკმის-ყოფით: «სიმდიდრე თუ გარდაგეროდის, ნუ შეაპვრობთ გულთა თქუენთა» (ფს. 61,10), და **სოლომონისიცა**, ვითარმედ: «მოწყალებად და სარწმუნოებაჲ ნუმცა მოგაკლდების შენ» (იგ. სოლ. 3,3). **სმისთვს** არა დასცხრებოდა წყალობად გლახაკთა, არამედ ვითარცა წყაროდ დაუწყუედელი აღმოცენებოდეს ქველის-საქმენი მისნი. **თა** ვაჰსენოთ ერთი ხოლო საქმე მოწყალებისა მისისაჲ, რადთა სიმდიდრე სახიერებისა მისისაჲ უმეტესად საცნაურ იქმნას.

6. **სყო** ქალაქსა მას შინა კაცი ვინმე მდიდარი და მდიდართა შვილი და შეემთხვა მას მრავალთა განსაცდელთაგან სიგლახაკე ფრიადი, ვიდრედა საზრდელიცა დააკლდა. **თა** ესხნეს მას სამნი ასულნი შუენიერნი. **თაშინ** შეიწრდა რად ფრიადისა მის ნაკლულევანებისაგან, განიზრახა განზრახვაჲ ბოროტი — მიცემად ასულთა თვსთა სამეძოდ, რადთა სასყიდელი იგი ცოდვისაჲ აქუნდეს საზრდელად და საკმარად თვსად და ასულთა მათ მისთა. **თამეთუ** რჩულიერთა ქორწინებითა განთხოვად მათი ვერ კელ-წიფებოდა ფრიადისა მის სიგლახაკისა და ნაკლულევანებისაგან და ყოველთა მიერ დაწუნებულობისა, იყო უკუე კაცი იგი ზრახვასა ამას ბოროტსა შინა და ენება კელ-ყოფად ურჩულოჲსა მის საქმისა.

სრამედ შენ, უფალო, ბუნებითა სახიერო და ყოველთა კეთილთა მიზეზო, რომელი უძლურებათა და წყლულებათა ჩუენთა წყალობით ჰკურნებ, სასმენელად მონისა შენისა **ნიკოლოზისა** მიაწიე სიტყუად იგი, და ვითარცა ანგელოზი მშვედობისაჲ ღელავ-გუემუელსა მას და დანთქმად განმზადებულსა მიუვლინე მცხნელად სიგლახაკისაგანცა კორციელისა და წარწყმედისა სულიერისა. **თამეთუ** ეუწყა რად ნეტარსა **ნიკოლოზს** განზრახვაჲ იგი კაცისაჲ მის, არარად ჰრქუა მას ყოვლადვე, არამედ სიტყესა მისებრ უფლისა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: «იქმოდი რად ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა-იგი იქმოდის მარჯუენე შენი» (მთ. 6,3). **სრცა** თუ მისი ენება უწყებაჲ, რომლისა თანა იქმოდა ქველის-საქმესა, ესრეთ შორს იყო მაჩუენებლობისა და ზუაობისაგან.

სმისთვს ნაკრავი დიდი ოქროსაჲ მიიღო და შეუაღამეს ოდენ მივიდა სახედ კაცისა მის და სარკუმლით შეავდო საფასე იგი და მწრაფლ განეშორა მიერ და თვსად საყოფელად მიიქცა. **ხოლო** კაცი იგი აღდგა რად განთიად და ნაკრავი იგი პოვა და განკვნა და ოქროჲ იგი იხილა, განკვრდა და მყოვარ ჟამ განიცდიდა: ნუუკუე უცნებაჲ რადმე არს და არა ოქროჲ. **ხოლო** გულსავსე რად იქმნა, ვითარმედ ჭეშმარიტად ოქროჲ არს, ჰმადლობდა ღმერთსა და ცრემლნი სიხარულისანი სდიოდეს თუალთა. **თიერითგან** მოსწრაფე იქმნა ბოროტისა მის განზრახვისაგან ჯმნად და მეცსეულად საფასითა მით პირმშოდ ასული თვსი მიათხოვა რჩულიერსა მეუღლესა წესისაებრ ქრისტეანეთაჲსა.

15 **სე** რად ცნა სანატრელმან **ნიკოლოზ**, ვითარმედ კეთილად წარაგო საფასე იგი და წესიერთა ქორწინებითა ბრალსა მას ცოდვისაჲ განერა კაცი იგი, განეშადა მეორისაჲ ასულისა მოღუაწებად და აღავსო სწორი პირველისაჲ მის ნაკრავისა ფასისაჲ და ღამესა ბნელსა შესტყორცა სარკუმლით კაცისა მის. **სდგდა** განთიად კაცი იგი და ოქროჲ იგი პოვა და კუალად განკვრებულ იყო და განცვრებულ, და მუკლთ-დრეკით თაყუანისცემდა უფალსა და იტყოდა: «უფალო იესუ ქრისტე, ჯერმინებელი წყალობისაო, რომელი ცხორებისათვს კაცთაჲსა კაც იქმენ, და აწ ჩემიცა, უბადრუკისაჲ ამის, ჯერ-იწინე შვილითურთ გამოკვნად მახეთაგან მტერისათა. **სმადლობ** შენ და გვედრები, მიჩუენე მსახური იგი განგებულებისა ამის შენისაჲ, ანგელოზი კაცთა შორის. **თინ** არს იგი, რომელმან ჭირისა მისგან გლახაკობისა და ბოროტთა მათ განზრახვათაგან, შექვენითა შენითა, მიკვნა მე. **თამეთუ**, აჰა ესერა, მეორეცა ესე შვილი ჩემი რჩულიერსა მეუღლესა მივსცე, იყოს თუ ნებაჲ შენი, რადთა ზღვევისაგან სულიერისა განვერნეთ წყალობითა შენითა». **სსრეთ** ილოცვიდა, და მეცსეულად ქორწილი მეორისა მის ასულისაჲ განმზადა და მოკლეთა დღეთა აღასრულა, და უმეტესად ჰმადლობდა უფალსა. **ხოლო** აქუნდა სასოებაჲ, ვითარმედ მესამეცა ილუაწოს მოღუაწემან მან წყალობისამან. **სმისთვსცა** მღვძარე არნ უმეტესთა ჟამთა ღამისთა, რადთა არა დაეფაროს განმამდიდრებელი იგი მისი.

45 **სსრეთ** რად განკრძალულ და ფრთხილ იყო იგი, აჰა ესერა, მოიწია მონად იგი ღმრთისაჲ **ნიკოლოზ** მესამედ ღამესა ბნელსა ფერკითა ნელიადითა და სარკუმელსა მას, რომელსა ჩუეულ იყო, სწორი პირველთაჲ მათ ნაკრავი ოქროსაჲ

შესტყორცა და მყის შეიქცა. ოსმა კაცსა მას ხმად შესტყორცულისა მის საფასისად და ცნა, ვითარმედ მოიწია კუალად განმამდიდრებელი იგი მისი და მეფესულად, რაოდენ ეძლო, სრბით დევნა უყო და მიეწია რად, იცნა ნეტარი იგი, რამეთუ ყოველთა მიერ იყო საცნაურ სათნოებისათვისცა მისისა და სეფეწულობისა, და შეუერდა ფერცთა მისთა და მკსნელად და მაცხოვრად ხადოდა სულთა მათ წარწყმედილთა. ჩამეთუ, უკუეთუმცა არა მოწყალებად შენი გამოეჩინა სახიერსა და მდიდარსა წყალობითა ღმერთსაო, აწმცა უფსკრულსა წარწყმედისასა დანთქმულ ვიყავ მე სამთა მათ ასულთა თანა, არამედ აწ შენ მიერ გვკსნა უფალმან მწვრთსაგან ცოდვათა-სა და «აღუადგინა ქუეყანისაგან გლახაკნი და სკორეთაგან აღუამაღლნა დაჲრომილინი» (ფს. 112,7). წმით და ესევიტართა სიტყუათა ცრემლით ეტყოდა და ჰმადლობდა წმიდასა მას, ხოლო მან აღადგინა იგი და ნუგეშინისცა და ფიცითა მოიმტკიცა, რადთა არავის აუწყოს საქმე იგი, არცა განაქიქოს ქველის-საქმე მისი დღეთა ცხორებისა მისისათა.

წოთი ესე საქმე მოწყალებისა და ქველის-საქმისა მისისა და წარმოთქვტ, ხოლო დღითი-დღე წყალობად მისი გლახაკთა მიმართ და თანა-მზრუნელობად და სულთა მშვიერთად აღვსებად კეთილითა (შეად. ფს. 106,9) თითოეულად ვინმე წარმოთქუას, რამეთუ აურაცხელ არიან სიმრავლითა და ვერ შემძლებელ არს ენად ჩემი უძრული თქუმად, ანუთუ აღწერად.

7. ღოლო იყო ნეტარისა მის სურვილი უმაღლესსა საზომსა სათნოებათასა აღსლვად, ვითარცა იტყვს **დავით**, ვითარმედ: «ვიდოდიან იგინი ძალითი ძალად» (ფს. 83,7), და სწადოდა წესსა მონაზონებისასა შესვლად და მყოფდროებით ცხორებად. ჩამეთუ ესმოდაცა სიტყუად უფლისად, რომელი ჰრქუა მდიდარსა მას, ვითარმედ: «უკუეთუ გნებავს სრულ-ყოფად, განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და აღიღე ჯუარი შენი და შემომიდევ მე» (მთ. 19,21). წმისთვს ყოველივე, რადცა აქუნდა, განყიდა და მისცა გლახაკთა და ყოვლისაგანვე სოფლიოფსა ზრუნვისა მოიცალა, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელი: «მოიცალეთ და გულისკმა-ყავთ» (ფს. 45,10), და შეიმოსნა ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, აღფრინდა, სოფლისაგან აიმაღლა, განეშორა, მივიდა და განისუენა უდაბნოსა (შეად. ფს. 54,6-7).

ძიიწია მონასტერსა თვისისა მის მამის-მმისა **ნიკოლოზისა**, რომელი-იგი სახელსა ზედა წმიდ-

ისა **სიონისასა** აღშენებულ იყო. შეიმოსა ჴელითა მამის-მმისა თვისისადთა სახე მონაზონებისად და იწყო მოქალაქობასა ანგელოზთა მობაძვსა. წრა იყო რიცხვ და საზომი მორჩილებისა მისისად, სიმდაბლისა და სიმშვედისად, მღვდარებისა და მარხვისა და ღოცვისად; ხოლო გონებად მარადის ღმრთისა წინაშე იყო და სურვილი მისი საუკუნეთა მათ კეთილთა მიმართ აღმაღლებულ იყო; სიყუარული ღმრთისად და მოყუსთად ესოდენი აქუნდა, რომელ შზა იყო ყოვლისა კაცი-სათვს სულისა თვისისა დადებად, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ: «უმეტეს ამისა სიყუარული არა არს, რადთა კაცმან დადვას სული თვისი მოყუსისა თვისისათვს» (ინ. 15,13).

წა რადთა მოკლედ ვთქუა, არა იყო იგი სათნოებად და იგი კეთილი საქმე, რომლითა არა სრულებით შემკობილ იყო სანატრელი იგი. ოსევიტარსა მოქალაქობასა მისსა ზედვიდა ნეტარი **ნიკოლოზ** მამის-მმად მისი, რამეთუ იყო იგიცა სრული მონად ღმრთისად და განიცდიდა თუალითა სულიერითა, ვითარმედ განისუენებს მმის-წულსა მას ზედა მისსა სული წმიდად.

შემდგომად რადენისამე ჟამისა მოღუაწებისა მისისასა მონასტერსა შინა აიძულა, რადთა მითუთალოს ზრუნვად ეკლესიისად და ძმათად და თავად დაყუდებით ჯდეს, რამეთუ იყოღა ფრიად მოზუცებულ. ღოლო ნეტარსა **ნიკოლოზს** ფრიად შეუძნდა სიტყუად იგი, რამეთუ იყო უმეტეს ყოვლისა კაცისა დაყუდების მოყუარე. წრამედ იხილა რად სულიერი იგი მამად მაიძულებელ და მვედრებელ თავს-დებად საქმისა მის, შეშინდა ბრალისა მისგან ურჩებისა, მოიდრიკნა მუკლნი და დაჰმორჩილდა. ძაშინ ყოველივე იგი მონასტერი და წმიდად ეკლესიად მიუთუალა მას და თანა-დაუდგინა ძმანი სულიერნი და საღმრთოთა სიბრძნითა სავსენი, რადთა თანა-შეეწეოდინ მას მორჩილებით.

და იყო წმიდად იგი ზედა-მდგომელ და მოურნე ყოველთა მათ ძმათა და წმიდისა მის ეკლესიისა და ჰმსახურებდა და განუსუენებდა სულიერსა მას მამასა და ჴორციელად მამის-მმასა **ნიკოლოზს**. შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ამიერ და წარვიდა უფლისა ნეტარი იგი მამის-მმად მისი **ნიკოლოზ**. წა ჟამსა მიცვალებისა მისისასა აკურთხა იგი ყოვლითა კურთხევითა. წა დაიმარხა წმიდად იგი ბერი ეკლესიასა წმიდისა **სიონისასა** და მრავალნი სასწაულნი ცხორებასცა ამას და შემდგომად სიკუდილისაცა ქმნა უფალმან მის მიერ, რამეთუ იყო კაცი იგი მოღუაწე და დიდად

სათნოდ ღმრთისად.

8. შემდგომად აღსრულებისა მისისა ინება წმიდამან **ნიკოლოზ** წარსლვად **იჭრუსალემდ**, ხილვად წმიდისა საფლავისა უფლისა და სხუათა მათ ადგილთა, სადა-იგი იქცეოდა უფალი ქუეყანასა ზედა, და თაყუანის-ცემად ძელსა ცხოვრებისასა და ღოცვად უდაბნოთა **იჭრუსალემისათა**. ოაუტევენა სულიერნი იგი ძმანი მოურნედ მონასტრისა, მოიკითხნა იგინი და წარემართა შეწევნითა უფლისადთა. სოვნა ნავი **მეგატელი** მიმავალი **ასკალონდ** და შევიდა მას შინა და წარემართნეს ნიავეთა კეთილითა. ოა ვითარ-იგი შევიდეს გულად ზღვსა, ეტყოდა იგი მენავეთა: «განკრძალულ იყვენით, ძმანო, რამეთუ ღელვანი სასტიკნი და სიმძაფრენი ქართანი კუეთებად არიან ჩუენდა. ჩამეთუ ვიხილე მე ეშმაკი, შემოვიდა რაჲ ნავად და ყოველნივე საბელნი აფრათა და საჭეთანი შეჭრად კელყო, და ნავი ესე ფიცხლად შეარყია და დაქცევად ენება». ოსე თქუა წმიდამან და მეყსეულად იქმნა არმური ქარისა სასტიკისად და აღდგეს ღელვანი დიდნი და მიახნდა ნავი იგი დაქცევად. ოაშინ ყოველნივე კაცნი შეუვრდეს წმიდასა **ნიკოლოზს** და ევედრებოდეს, რადთა ილოცოს უფლისა მიმართ, ყოფად მათ ზედა წყალობისა. ოიუგო ნეტარმან მან და ჰრქუა მათ: «ნუგეშინის, ძმანო, რამეთუ სახიერ არს უფალი და მრავალმოწყალე ღმერთი ჩუენი, და არა განმწირნეს ჩუენ სრულიად». ოსე თქუა და დადგა ღოცვად, ევედრებოდა უფალსა და მეყსეულად ქარი იგი დასცხრა და არმური განქარდა და ღელვანი დაწყნარდეს და ზღუად იგი დაყუნდა.

ოა კაცნი იგი დასცხრეს გლოისაგან და ჰმადლობდეს უფალსა და მონასა მისსა **ნიკოლოზს**. ოლო სიმძაფრისა მისგან ქართადსა საბელნი საშუალისა მის აფრისანი შესლილ იყვნეს და ჯუარი, რომელი იყო ძელსა ზედა აფრისასა, მიდრეკილ იყო. ოღვიდა უკუე ერთი მენავეთაგანი ძელსა მას აღმართებად ჯუარისა და განგებად საბელთა მათ. ოა ეგულებოდა რაჲ შთამოსვლად, შეუბრკუმა შურითა ეშმაკისადთა და შთამოფარდა მიერ და დაეცა უბესა ნავისასა და მასვე ჟამსა მოკუდა. ოარე-მოადგეს მოყუასნი მისნი და იგლოვდეს მის ზედა, ზოლო წმიდამან **ნიკოლოზ** ჰრქუა მათ: «ნუ სტირთ, არამედ ევედრნეთ უფალსა». ოსე თქუა და განიპყრნა კელნი ზეცად, ევედრა უფალსა. ოყოფარ ჟამ მოიქცა და დასწერა მას ჯუარი და უპყრა მას კელსა და ვითარცა ძილისაგან აღადგინა მკუდარი იგი. ოა ყოველთა, რომელთაცა იხილეს საკვრველი ესე, აღიდებდეს

უფალსა.

ოერმე აღჰმართნეს აფრანი და ნიავეთა ჰამოთა წარვლეს ზღუად იგი და მიიწინეს **ასკალონად**. ოანვიდა ნეტარი იგი ნავისაგან და მივიდა ეკლესიად წმიდისა **თეოდორესა**, ილოცა მუნ და დაყო ვითარ ოთხ დღე. ოლო განისმა ჰამბავი მისი, ვითარ-იგი მკუდარი აღადგინა და სიმძაფრე იგი ღელვათა ღოცვითა დააყუნდა, და მეყსეულად შემოკრბეს მისა სიმრავლე ბრმათა და კოჭლთა და მკელობელთა და გუემულთა სულთაგან არაწმიდათა და ევედრებოდეს მას კურნებად მათდა. ოაშინ ქმნა უფალმან ღოცვითა მის ნეტარისადთა დიდნი სასწაულნი: ბრმათა აღუხილნა თუალნი და მისცა ნათელი, ეშმაკნი განიოტნა, მკელობელნი და განრლუეულნი განკურნნა, და არავინ დაშთა მუნ შემოკრებულთა უძღურთაგან, რომელმან არა მიიღო კურნებად, და სიხარულით მიიქცა სახედ თვსად. ოა ყოველნი აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან გამოუჩინა ესევეთარი სახიერი მკურნალი.

ოარემართა მიერ და აღვიდა წმიდად ქალაქად **იჭრუსალემად** და მივიდა წმიდასა აღსადგომელსა უფლისასა და წმიდასა **გოლგოთასა**, სადა-იგი აღემართა ცხოველს-ყოფელი ჯუარი და უვნებელმან მან ღოცვითა ჩუენთვს ვნებად თავს-იდვა. ოა იყვნეს კარნი იგი ეკლესიათანი კლიტულ მისლვასა მისსა და ყოველნივე იგი კარნი ეკლესიათანი თავით თვსით უკლიტოდ განჭუნეს. მივიდა და შეემთხვა საფლავსა მას განმაცხოვრებელსა და წმიდასა **გოლგოთასა**, სადა-იგი ჯუარს-ეცუა უფალი. ოა ადგილიცა იგი, სადა ძელი ცხოვრებისად იყო, ეუწყა მას ჩუენებითა ანგელოზისადთა. ოა თაყუანის-სცა და სურვიელად ადგილსა მას ამბორს-უყო. ოიერ წარვიდა და იხილა **ბეთლემი**, ცათა მობაძენი, სადა იშვა უფალი ჩუენი ღოცვითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა **მარიამისგან**. ოა მიერ აღვიდა მთასა ზეთისხილთასა და ამბორს-უყო ადგილსა მას, სადა-იგი დადგეს ფერკნი უფლისანი, აღმალდებოდა რაჲ ზეცად. ოა წარვიდა **იორდანედ**, სადა-იგი ნათელ-ილო უფალმან **იოანესგან** და დაიბანა პირი წყლისა მისგან. ოა მიერ განვიდა უდაბნოთა მათ და ჰოვნა მუნ მცირედნი ვინმე მოღუაწენი, რამეთუ არღა იყვნეს მაშინ მონასტერნი, არცა სიმრავლე მონაზონთა, და ენება ნეტარსა **ნიკოლოზს** უდაბნოთა მათ **იორდანისათა** დამკვდრებად, რამეთუ იყო იგი მოყუარე დაყუდებისად და მარტოდ-ყოფებისად. მაშინ მოივლინა მისა **მიქაელ** მთავარანგელოზი ღმრთი-

სა მიერ და ჰრქუა მას: «წარვედ სოფლად შენდა, ქუეყანად **ლუკიისა**, რამეთუ ესრეთ გიბრძანებს უფალი, რადთა სამწყსონი შენნი არა დააკლდეს სწავლასა შენსა». შაშინ მიიქცა **იჭრუსალემად** და ამბოროს-უყო წმიდასა მას და განმაცხოვრებელსა ქრისტეს საფლავსა და წმიდასა **გოლგოთასა**. ოა შთავიდა ზღვს-კიდელ და პოა ნავი და ჰკითხა მათ, ვინაჲ მიმაჲალ არიან, ხოლო მენაჲენი იგი იყვნეს კაცნი უგუნურნი; ცნეს რად, ვითარმედ ქუეყანად **ლუკიისა** მიმაჲალ არს, ჰრქუეს მას: «**ლუკიად** მიგალთ ნავთ-საყუდელად **ანდრიაკად** და **მირონ** ქალაქსა განვჰყიდით ტვრთსა ჩუენსა». სრქუა მათ წმიდამან **ნიკოლოზ**: «უკუეთუ მუნ მიმაჲალ ხართ, ძმანო, შემიყვანეთ მეცა ნავად თქუენდა». ღოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და წარემართნეს რად, აღჰმართნეს აფრანი და ვიდოდეს კერძოთა **იტალიისათა**, ვინაჲცა იყვნენ. შილა რად ესე ნეტარმან **ნიკოლოზ**, შეწუხნა და ჰრქუა მათ: «რად გიყუარს, ძმანო, ამოებად და ეძიებთ სიცრუესა?(ფს. 4,2)». ღკუეთუ არა ქუეყანად **ლუკიისა** მიხჯოდეთ, რადსათჳს შემომიყვანეთ მე ნავად თქუენდა?» არად შეჰრაცხეს მათ სიტყუად მისი, არამედ ვიდოდეს გზასა თჳსსა. ოა აჰა ესერა, მოჰდა ქარი გრიგალი, დელჳ ვრცელი და წარიტაცა ნავი იგი, რამეთუ არა დაიდუმა უკეთურებაჲ მათი სასჯელმან ღმრთისამან. შაშინ შიშით და ძრწოლით აფრანი მოაქცინეს და საჰენი ქარსა მიჰმართეს და დიდი დელჳ-გუემულებად შეემთხჳა და ვერსადა ჰელწიფა შექცეჲად, ვიდრე მივიდეს ნავთ-სადგურად **მირონ** ქალაქისა, რომელსა ეწოდების **ანდრიაკი**. შაშინ ცნეს უგუნურებისა თჳსისა ნაყოფი მენაჲეთა მათ და იწყეს სინანულად და შევრდომად მონისა მის ღმრთისა. ღოლო მშჳდმან მან და სახიერმან ყოვლადვე არა აბრაღა, არამედ ცთომად მათი შეუნდო და კურთხევით განუტევნა წარსლჳდ სოფლად თჳსად. წარვიდეს უკუე მონასტრად წმიდისა **სიონისა** და იხილეს რად იგი ძმათა, აღივსნეს სიხარულითა და მოწოდეს ამბოროს-უყოფდეს მას.

ძიერიტგან უმეტესად მოეფინა მას ზედა მადლი ღმრთისად და იქმნებოდეს ჰელითა მისითა სასწაულნი და კურნებანი მრავალნი, და ვინცა მოვიდის მისა შეჰყრობილი რომლითავე სენითა, განკურნებულნი წარვიდის სახედ თჳსა. ჰამეთუ სიბრძნით ყოველსაჲ განაგებდა კეთილად განმგებელი ღმერთი და ენება დიდისა მის სანთლისად სასანთლესა ზედა დადებად, რადთა ნათობდეს ყოველსა ზედა სოფელსა. ჰამეთუ იგი მოსწრაფე

იყო დაფარჳდ სათნოებათა თჳსთა კაცთაგან, არამედ არა შესაძლებელ-იყო ესე, ვითარცა-იგი არა ეგების ნათლისა მის შხისა დაფარჳდ კაცთაგან და ნაყოფნიცა მისნი ზესა მას საცნაურ-ჰყოფდეს, და უფროდსად ესე ვთქუა, ვითარმედ ღმერთი გამოაცხადებდა მონასა თჳსსა.

9. ომისთჳს განაგო მიზეზითა სათანადოდთა შთასლჳდ მისი **მირონ** ქალაქად. ღოლო მუნ ყოფასა მას მისსა მიიცჳალა ამიერ სოფლით მთავარებისკოპოსი **მირონ** ქალაქისად და წარვიდა უფლისა. შაშინ შეკრბეს ებისკოპოსნი და მღღელნი სამრემლოდსა მისისანი და შური საღმრთოდ შემოვიდა მათ შორის, რადთამცა პოეს ღირსი ვინმე მის საყდრისად და იგი დაადგინეს მთავარებისკოპოსად. ჴეს უკუე განზრახჳდ ესევეთარი, რადთა ილოცვიდეს კაცად-კაცადი თჳსაგან მარხვითა და ვედრებითა, რადთა გამოუცხადოს უფალმან, რომელსა ზედა ნებაჲ მისი განისუენებს. ოა ვითარ იგინი განკრძალულ იყვნეს ყოველნი ლოცვასა და ვედრებასა, ერთსა ებისკოპოსსა ღირსსა და სათნოსა ღმრთისასა ჰრქუა უფალმან ჩუენებითა ღამისადთა: *მივედ ეკლესიად ჟამსა ცისკრისასა და დადვე შესაჲლსა ტაძრისასა და რომელიცა პირველ ყოველთასა შემოვიდეს სახელით ნიკოლოზ, იგი არს, რომელსა ზედა განისუენებს სული ჩემი. ჴი დაადგინეთ მთავარებისკოპოსად, რამეთუ წინადთვე განგებულ არს ესე მისთჳს.*

შილა რად წმიდამან მან ებისკოპოსმან ხილჳდ ესე, იყვნეს საგანესა მას სხუანიცა ებისკოპოსნი და მღღელნი. შასეჲ ჟამსა ღამისასა აუწყა მათ ძალი ჩუენებისად მის და დადგეს ყოველნი ზოგად ლოცვასა, ვიდრე რეკადმდე. ღოლო მნათემან რად ძელსა დაჰრეკა, წარვიდეს ეკლესიად საკათალიკოზოდ. ოა დადგა ებისკოპოსი იგი ბჳჳეთა თანა ეკლესიისათა და, აჰა ესერა, სულისა მიერ წმიდისა მოვიდა უპირატეს ყოველთა წმიდაჲ **ნიკოლოზ** ეკლესიად. ღოლო ებისკოპოსი იგი არა მეცნიერ იყო მის და იხილა რად შემაჲალ ეზოდ და ეგულებოდა შესლჳდ ეკლესიად, მიეგება მას მხილველი იგი საღმრთოდსა მის ჩუენებისად და მშჳდობად მისცა და ჰრქუა: «რად გეწოდების შენ, შვილო?» — ხოლო ნეტარმან მან მიუგო სიმდაბლით და შემუხსრვილად: «**ნიკოლას** ცოდვილი, მეუფეო, მონად სიწმიდისა შენისად». ესმა რად ღირსსა მას მღღელთ-მოძღუარსა სიტყუად იგი სიმდაბლისად და ცნა სახელი მისი, გულისცემა-ყო, ვითარმედ იგი არს, რომლისათჳს უბრძანა მას უფალმან. შითარცა წერილ არს, ვითარმედ: «ვისა მივხედნე, გარნა მდაბალთა ზედა და მყუდ-

როთა და რომელნი ძრწიან სიტყუათაგან ჩემთა» (ეს. 66,2).

სდღესო უკუე სიხარულითა წმიდა იგი ებისკოპოსი, ვითარცა ეპოვნა საუნჯე ღიდი. მკურა მას კელ და ჰრქუა: «შემომიდევ მე, მონაო ღმრთისაო». ოა მიიყვანა იგი სხუათა ებისკოპოსთა მიმართ. ღოლო მათ იხილეს რად, იყვნეს რომელნიმე მათგანნი მეცნიერ მისა და უწყოდეს მადლი სიწმიდისა მისისა, აღიყვანეს ყოველნი სიხარულითა და მისცეს მადლი უფალსა, რომელმან გამოუცხადა ღირსი და სათნო მისი. ოა მეყსეულად უპერეს კელი მისი და დაადგინეს შორის მათსა. ღოლო ეუწყა რად წმიდასა **ნიკოლოზს** განზრახვად მათი, ღიდად შეწუხნა და ცრემლით შენდობასა ითხოვდა და იჯმნიდა საქმისა მისგან და თავსა თვსსა ცოდვილად და უღირსად ხადოდა. სრქუეს მას ყოველთა მათ ებისკოპოსთა: «დადუმენ, მძაო, ურჩებად ღმრთისად არა ეგების, არამედ რად იგი მას უბრძანებეს, ჩუენცა აღსრულებად გვღირს და შენ თავს-მდებად». ოა მრავლითა ღიქნიითა ძლით დაარწმუნეს მას და იძულებით დაიმჭირეს.

სანკდა ჰამბავი მისი მეყსა შინა ყოველსა მას ქალაქსა და შემოკრბა ერი აურაცხელი, რომელ არცა თუ დაიტევდა ეკლესიად, მაშინ ებისკოპოსთა ჰრქუეს ერსა მას კმამაღლად: «შეიწყნარეთ, მძანო, მწყემსი, რომელი მოგცა სულმან წმიდამან; რომელსა არწმუნა მწყსად სულთა თქუენთად; რომელი არა კაცობრივმან ზრახვამან გამოარჩია, არამედ ბრძანებამან უფლისამან. სმას შეუდგეთ ყოველნი და მცნებათა მისთა ვერჩდეთ და არა გურცხუენეს დღესა მას დიდებულსა განკითხვისა და გამოცხადებისა უფლისასა». ოაშინ ყოველმან მან ერმან, ვითარცა ერთითა პირითა, მადლობად შეწირეს უფლისა. ოა ვითარცა ჟამი მესამე ღდისად დადგა, შეიმოსნეს ყოველნი იგი ებისკოპოსნი და მღდელნი და ღიაკონნი, და აღიყვანეს ნეტარი **ნიკოლოზ** საკურთხეველად იძულებით და უნებლიეთ, და აღასრულეს წესი და განგებად კურთხევისად და დასუეს საყდარსა **მირონ** დედაქალაქისასა და მოვიდა მის ზედა მადლი ღმრთისად უხუებით.

10. ოწყსიდა ერსა მას სიწმიდით და სიმართლით და ასწავლიდა მართლმადიდებლობასა, მართლგამომეტყუელებასა სიტყუასა მას კტშმარიტებისასა და აღსრულებასა მცნებათა უფლისათა. ღოლო მადლი სასწაულთა და კურნებათა უაღრეს ბუნებისა მიეცა მას ღმრთისა მიერ, რამეთუ მესამესაღა დღესა მღდელთ-მოძღურები-

სა მისისასა, იყო წიგნის-მკითხველი ვინმე მის ეკლესიისად, სახელით **კოზმა**, რომელი ჟამთა მრავალთა იგუემებოდა სულისაგან არაწმიდისა. ოივიდა და შეუერდა ნეტარსა მას და აუწყა ჭირი თვისი და განსაცდელი. ოაშინ ღმერთშემოსილმან მან დაადგინა იგი კართა ეკლესიისათა და უბრძანა, რადთა ორმოც დღე ჟამსა ღოცვისასა დგეს იგი კართა ეკლესიისათა და ევედრებოდის უფალსა. ღოლო მეორმოცესა დღესა ყო მის ზედა ღოცვად წმიდამან მან მამამან, დასწერა ჯუარი და მყის განიოტა სული იგი არაწმიდად და უბრძანა, რადთა არღარა იკადროს კაცისა მორწმუნისა ტანჯვად, და განიკურნა წიგნის-მკითხველი იგი.

სყო სხუად ვინმე კაცი, სახელით **პავლე**, მწყემსი ცხოვართად, და შეუკდა მას ეშმაკი და ბოროტად აშთობნ. სმა მას განკურნებად იგი **კოზმადისი** და მირბიოდა სახიერისა მის მკურნალისა და შეუერდა და ითხოვდა კურნებასა. ოა მას ოდენ ჟამსა დასცა იგი სულმან მან ბოროტმან, ხოლო წმიდამან **ნიკოლოზ** დასწერა ჯუარი და შეპრისხნა სულსა მას არაწმიდასა და მყის იელტოდა იგი და კმობდა: «**მნიკოლოზ**, მონად ღმრთისად, მღვწის მე». ოა აღდგა კაცი იგი მრთელი, თავუანის-სცა ნეტარსა მას და წარვიდა სამწყსოსა თვსსა სიხარულით.

სყო კაცი ვინმე ქალაქსა მას, რომლისა მეუღლე ბერწ იყო და უშვილო ოცდაათ წელ. ღეღვიდეს რად სასწაულთა მათ წმიდისა **ნიკოლოზისათა**, მივიდეს ორნივე და შეუერდეს და ითხოვდეს, რადთა ღოცვითა მისითა განიცხნას კრულებად უშვილოებისა მათისად. ხოლო წმიდამან მან ულოცა მათ და ჯუარი დასწერა და სცხო კანდლისაგან ზეთი თავთა მათთა სახელითა წმიდისა სამებისადთა და განუტევნა. ღოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა მოვიდეს მეუღლენი იგი და თანა-ჰყვა შვილი წული და ნათელ-სცა მას წმიდამან **ნიკოლოზ** და წარავლინნა სახედ თვსად სიხარულით.

სხვსა ვისმე კაცისა, **როდონ** ქალაქით, იყო ასული ეშმაკისაგან გუემული და ყოველნი ასონი მისნი განკმელ იყვნეს. სმა მას საკურველთ-მოქმედისა მის მამისა ჰამბავი, და შევიდა ნავად და მიიწია **მირონ** ქალაქად, მიიყვანა ქალი იგი და დააგდო წინაშე წმიდისა **ნიკოლოზისა** და ცრემლით ევედრებოდა: «**მნიკოლოზ**, მონად ღმრთისაო, შეიწყალე უბადრუკი ესე, რომელსა ბოროტად სტანჯავს ეშმაკი და ყოველნი ასონი მისნი განკმელ არიან». სხილა იგი სახიერმან მან, შეწყალა, განიპყრნა კელინი და ევედრა უფალსა და დასხნა

ველნი თავსა მისსა, გამოსახსა სასწაული ჯუარი-
სა და მეყსეულად განიკურნეს და განძრიელდეს
ყოველნი ასონი მისნი. ოა ყოველთა, რომელთა
იხილეს საკრველი იგი დიდებული, ადიდებდეს
უფალსა. ღოლო კაციმან მან თაყუანის-სცა მას
ასულითურთ და მადლი მისცა უფლისა, რომელ-
მან ყო მისთანა წყალობად. მისცა მათ წმიდამან
ნიკოლოზ საგზალი გზისად და წარავლინა ქა-
ლაქად თვსად.

სყო კაცი ვინმე, სახელით **იოვანე**, ქუეყანასა
ლუკიისა და უნაყოფოებისაგან ყანისა მისისა
მიიწია დიდსა სიგლახაკსა. ჰივიდა ნეტარისა
მის და ჰრქუა: «მამაო ღმერთშემოსილო, ცოდვა-
თა ჩემთაგან უნაყოფო იქმნა ყანად ჩემი. ოჲა ეს-
ერა, ოთხ წელ ვთესვ ოცდაათსა, გინა ორმეოცსა
მოდსა და არა მომეცემის უმეტესი ათხუთმეტისა
მოდისა, და შთავარდი დიდსა იწროებასა მეულ-
ლითურთ და შვილით ჩემით. ომისთვს შვეიერ-
დები, რადთა ევედრო ჩემთვს უფალსა და ყოს
წყალობად ჩემ ზედა». ჰაშინ წმიდამან **ნიკოლოზ**
მოიღო ყოვლისაგან თესლისა ოც-ოცი მარცუა-
ლი და ჰრქუა: «წარვედ, შერთე ესე თესლსა შენ-
სა და დასთესე ესე ყანასა შენსა და იყავნ ნებად
უფლისად». წარვიდა კაცი იგი და ყო სიტყვსაგან
მისისა. ოა აკურთხა ღმერთმან თესლი იგი, და
აღაორძინა ასეულად და განამდიდრა ჭირვეული
იგი. ჰივიდა კუალად და ჰმადლობდა წმიდასა მას
და უთხრობდა ფართოებასა თვსსა. სრქუა მას
წმიდამან **ნიკოლოზ**: «შემძლებელ არს ღმერთი
მცირედისცა განდიდებად. წარვედ უკუე, ჰმად-
ლობდი ღმერთსა და იქმოდე ქველის-საქმესა,
რადთა უმეტესად იკურთხოს სახლი შენი».

ოდესა ერთსა მოვიდეს ნეტარისა მის ოთხნი
კაცნი ბოროტად ტანჯულნი ეშმაკთაგან, **არადონ**
სოფლით, სახელი ერთისა მის **ზენონ** და მეორი-
სა **კერიაკოზ** და მესამისა **არმიოზ** და მეოთხე
იგი წიგნის-მკითხველი იყო, სახელით **ლეონ**,
რომელსა უბოროტეს ყოველთასა შეაშთობდა
ეშმაკი. შეურდებოდეს წმიდასა მას და ითხო-
ვდეს წყალობასა კურნებისასა. ღოლო წმიდამან
ნიკოლოზ, მკურნალმან მან უშურველმან, ილოცა
ღმრთისა მიმართ და გამოსახსა თავთა ზედა მათთა
სასწაული პატიოსნისა ჯუარისად და მეყსეულად
სულნი იგი ბოროტნი ივლტოდეს და კაცნი იგი
განთავისუფლდეს ბოროტისა მის სატანჯველის-
აგან, და ჰმადლობდეს უფალსა და მონასა მისსა
ნიკოლოზს.

ზუალად მივიდა კაცი, სახელით **ტიმოთე**, რო-
მელსა თანა იყო სული ბოროტი, რამეთუ დასცე-

მდა მას ბოროტად და სცემნ იგი თავსა ქვათა და
ძელსა, და სასტიკ იყო საღმობად მისი. ოხილა
იგი წმიდამან **ნიკოლოზ** და შეეწყალა და დას-
წერა ჯუარი თავსა მისსა და პირსა და სცხო
ზეთი კანდლისაგან, რომელი ენთებოდა წინაშე
ხატსა მაცხოვრისასა, და მეყსეულად სული იგი
ბოროტი ივლტოდა და კაცი იგი ეგო უვნებელად
და ჰმადლობდა უფალსა.

ჰასვე დღესა მოვიდა სხუად კაცი, სახელით
ლეონტი, იგიცა მწარედ გუემული მტერისაგან.
შეუერდა ნეტარსა მას და კმობდა: «შემიწყალე,
მონაო ღმრთისაო». ღოლო ნეტარი იგი უშურ-
ველ იყო წყალობად ჭირვეულთა, რამეთუ სი-
ტყვსაგან უფლისა: «უსასყიდლოდ მოედო და
უხუებით მისცემდა მადლსა კურნებისასა» (მო.
10,8). შეპრისხნა სულსა მას ბოროტსა სახელ-
ითა უფლისადთა და მყის განიოტა, და კაცი იგი
განკურნებული წარგზავნა.

ზუალად დედაკაცისა ვისმე ქურთისა ძე შეპყ-
რობილ იყო ეშმაკისაგან და მოიბძარვიდა სა-
მოსელსა და მოიჭამდა კორცთა, და დაიკოდნ
თავსა ქვითა. ჰოიყვანა ქურთმან მან შვილი იგი
მისი წინაშე წმიდისა **ნიკოლოზისა** და ცრემლითა
მჭურვალთა ევედრებოდა. ღოლო წმიდა იგი,
ვითარცა იყო სავსე მოწყალებითა, შეიწყალა
დედად შვილითურთ და ყო მის ზედა ლოცვად,
დასწერა ჯუარი და მყის განათავისუფლა მტერ-
ისა მისგან ბოროტისა. ოა ჰმადლობდა დედაკაცი
იგი უფალსა და მივიდოდა მზიარული, ვითარცა
დედად შვილსა ზედა სიხარულევანი.

ჰერმე სხუად დედაკაცი მივიდა **სიკარო** სოფ-
ლისაგან, განკმელი; ვითარცა შემად ეტკრთა იგი
ქმარსა თვსსა. ჰოიყვანა იგი წინაშე წმიდისა მის
და დააგდო ფერკთა თანა მისთა. მბრძანა წმი-
დამან **ნიკოლოზ** მთავარ-დიაკონსა ცხებად ზეთი
საუფლოდსა კანდლისაგან ასოთა მისთა, და მასვე
ჟამსა ცოცხალ-იქმნა და თვსითა ფერკითა წარ-
ვიდა სახედ თვსად და ჰმადლობდა ღმერთსა და
მონასა მისსა **ნიკოლოზს**.

ოა სხუადცა კაცი მოიყვანეს კარაულითა, გა-
ნკმელი კელით და ფერკით, და ყოველნი ასონი
მისნი დაკნილ იყვნეს მრავლით ჟამითგან. შეიყ-
ვანეს იგი წინაშე წმიდისა **ნიკოლოზისა** და დააგ-
დეს მის წინაშე, რადთა ყოს მისთანა წყალობა.
ღოლო სანატრელმან მან დასწერა ჯუარი ასოთა
მისთა და კელითა თვსითა სცხო ზეთი კანდლის-
აგან, და მასვე ჟამსა განიკურნა განრღუეული
იგი და ზღდომით ვიდოდა და ადიდებდა ღმერთსა
და აკურთხევდა მონასა მისსა **ნიკოლოზს**, სას-

წაულთა მოქმედსა.

სრამედ ვითარმე გელ-გჰყოფთ მჯილთა წყალსა ზღვსასა აღმოსხმად, ანუ ქვშათა ზღვსპირისათა აღრაცკვად, რამეთუ ვითარცა ესე შეუძლებელ არს, ეგრეთვე, სასწაულთა და კურნებათა წმიდისა მის მამისათა რიცხვ არა არს. შესრეთ აღიდა იგი უფალმან და ესრეთ განანათლა ღირსმან მან ქალაქი იგი და ყოველი იგი ქუეყანად **ლუკიისად** სასწაულთა საქმითა და საღმრთოთა სწავლითა და ანგელოზებრითა ცხორებითა.

11. სარნა მოშურნე იგი კეთილისად და მბრძოლი სულთა ჩუენთად ვერ თავს-იდებდა კეთილსა მას წარმართებასა ეკლესიათასა და მისსა მას დევნულებასა. სმისთვსცა აღადგინა ქრისტეანეთა ზედა დევნულებად **მაქსიმიანეს** ზე მეფისა, და წიგნები სამეფოდ მიიღლინებოდა ყოველსა ქუეყანასა უფლებისა მისისა, რომელთა შინა წერილ-იყო მთავართა მიმართ, რადთა ყოველთა ქრისტეანეთა აიძულებდენ უარის-ყოფად ქრისტესა და თაყუანის-ცემად კერპთა. **ხოლო** რომელიცა ურჩ ექმნენ ბრძანებასა მას, სატანჯველითა ფიცხლითა იტანჯნენ; და უკუეთუ დაადგრენ ცილობასა ზედა თვსთა, ძკრ-ძკრად მოიკლნენ. **სე** განჩინებად მოიწია მთავარსაცა თანა **მირონ** ქალაქისასა, რომელი-იგი იყო კაცი უკეთური და მტერი ქრისტეანეთად. იწყო ტანჯვად ქრისტეანეთა და ძკრ-ძკრად მოწყუედად.

ხოლო წმიდად **ნიკოლოზ** ყოველთა ასწავლიდა და ყოველთა განამტკიცებდა აღსაარებად ქრისტესა და მცირედითა ტანჯვითა საუკუნოვსა მის სასუფეველისა მოგებად. **სე** რად ეუწყა მთავარსა მას, წარავლინნა მკედარნი და შეიპყრეს წმიდად **ნიკოლოზ** და წარადგინეს წინაშე მთავრისა. **სრქუა** მას მთავარმან მან: «ესერა, სიკუდილი და ცხორებად შენ წინაშე არს, ბრძანებისაგერ მეფეთადას. **სწ**, რომელიცა გნებავს, გამოირჩიე: ანუ თაყუანის-ეც ღმერთთა ჩუენთა და იჯმენ ქრისტესგან და დაგადგინო შენ მღვდელთ-მოდღურად ტაძარსა **არტემისსა**, შუენიერსა მას და ღიდებულსა, ანუ თუ არა მერჩდი, ძკრ-ძკრად იტანჯო და ბოროტითა სიკუდილითა მოიკლა».

ხოლო წმიდამან **ნიკოლოზ** განბასრა უგუნურებად მისი, რომელ ყოვლადვე ჰგონებდა მიდრეკასა მისსა ქრისტესგან, მიუგო და პრქუა მას: «მიკვრს უბადრუკებად სიცოფისა შენისა **რომელ** გელ-ჰყოფ ჩემსა კერპთა მიმართ მიქცევასა. **სრა** ჰხედავა, უგუნურო, რამეთუ მაღლითა ქრისტესითა ყრმანიცა ჩჩვლნი და დედანი უძღურნი შეურყეველად წინა-აღუდგებიან ბრძანებასა შენსა

და გვრგვნსა წამებისასა მიიღებენ ქრისტესგან? და ვითარ ჰგონებ ჩემსა მიდრეკასა, რომელი ესე მოძღურად დადგინებულ ვარ ერისა ამის, ანუ რომელსა ნაცვალსა მიქადებ, რომელ იტყვ, რად-
5 თა ვიჯმნა მღვდელთ-მოდღურებისაგან ქრისტესსა და ვიქმნე მღვდელთ-მოდღურად **არტემ** კერპისა? მე ვესაუ სახიერსა ღმერთსა, რადთა მოკლეთა ჟამთა შემდგომად არა იპოოს ტაძართა მათ საკერპოთა ნატამალი, **ხოლო** ეკლესიანი ქრისტესნი ყუაო-
10 ღინ, ვითარცა შროშანი შუენიერნი. **სწ** უკუე, ნუ ჰყოფნი ტანჯვად ჩემდა და მოკლვად ქრისტესთვს, რამეთუ რადცა ძკრი შემემთხვოს სახელისა მისისათვს, საშუებელ არს ჩემდა და სიხარულ».

ძაშინ უკეთურმან მან მთავარმან ბრძანა გან-
15 რთხმად მისი და უწყალოდ გუემადა. და გუემეს იგი მტარვალთა მათ, ვიდრედა საგონებელ იყო, თუ მოკუდა. **ხოლო** ნეტარი იგი, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, დგა ახოვნითა და უშიშითა გონებითა და ისარ ჩჩვლთა შეერაცხნეს წყლუ-
20 ლებანი მათნი. ძერმე ბრძანა ურჩულომან მან დაკიდებად მისი და ზუეტად გუერდთა მისთად, ვიდრედა ნაკადულთა სისხლისათა აღავსეს ადგილი იგი. **თა** იხილა რად, ვითარმედ იგიცა ტანჯვად შეურაცხ-იყო მის წინაშე, ბრძანა **ორ-**
25 **დანოსა** მას ნასხმანთა დამკვნელსა შეგდებად მისი. **თა** შეაგდეს რად მანქანასა მას და უქციეს, შეწვენითა ქრისტესითა შეიმუხრა იგი და უვნებელად ეგო მონად ქრისტესი. **სმისა** შემდგომად ბრძანა მისი საპყრობილედ შეგდებად უღუაწად.
30 **თა** დაყო ნეტარმან საპყრობილესა მას შინა ჟამი მრავალი ღიდითა ჭირითა და იწროებითა. **ხოლო** იყო ყოველივე იგი ტკბილ და საწადელ წინაშე მისსა, რამეთუ სურვიელ იყო სახელისათვს უფლისა ბევრეულთა სატანჯველთა თავს-დებად. **თა** არა დასცხრებოდა ებისტოლებითა და სიტყვთა სწავლად და განმტკიცებდა ერისა მის და კლდე-
35 სა ზედა ქრისტეს აღსაარებისასა დააფუძნებდა სულთა მათთა. **ხოლო** სახიერმან მან და მრავალმოწყალემან უფალმან არა უგულებელს-ყო მონად თვსი სახელისა მისისათვს, ესევეითართა ღუაწლ-
40 თა მიცემული. **ჩამეთუ** სარწმუნო არს, რომელმან თქუა, ვითარმედ: «არა ვიხილე მე მართალი დაგდებულ» (ფს. 36,25). ჩანდვლვე, არცა ნეტარი **ნიკოლოზ** დაგდებულ იქმნა, რამეთუ მოვიდა მისა
45 უფალი და ნუგეშინის-სცა და განაძრიელა, და უჩუენა ღიდებად იგი გამოუთქუმელი და ადგილი ნათლისად და გვრგვნი ღიდებისად, განმზადებული მისთვს საუკუნესა მას.

12. **თა** ესეცა აუწყა, ვითარმედ: «შემდგომ-

ად მცირედისა ჟამისა ურჩულონი იგი მეფენი მოსწყდენ და მეფე მორწმუნე დადგეს და შენ სამწყვსოსავე შენსა ჰმწყსიდევ სიმართლით და ნებისაებრ ჩემისა, რადთა უმეტეს აღორძინდეს სასყიდელი შენი». სრუთ ნუგეშინის-სცა და განანათლა და განადრიერა მონად თვსი ნუგეშინის-მცემელმან მან ყოველთა მოშიშთა მისთამან, «ნათელმან ჭეშმარიტმან, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა» (ინ. 1,9). ოა მეყსეულად სიტყუად იგი უფლისად აღესრულა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «რჩეულთათვს შემოკლდნენ დღენი იგი განსაცდელთანი» (მთ. 24,22), და აწცა უკუე სხუათათვსცა რჩეულთა მოღუაწეთა. სრამედ უფროდს ყოველთადსა დიდისა **ნიკოლოზისთვს** წყალობით მოხედნა ქრისტემან სამკვდრებელსა ზედა სახელისა მისისასა და აღმოფხურნა ძირითურთ მეფენი იგი ურჩულონი, **დიოკლეტიანე** და **მაქსიმიანე**, **მაქსენტი** და **მაქსიმიანე** და ყოველნი მსგავსნი მათნი. «და აღუდგინა ერსა თვსსა რქად ცხორებისად» (ლკ. 1,69), სახითა პატიოსნისა ჯუარისადთა, **კოსტანტინე**, ძე **კოსტაის** და **ელენისა**, და მისცა მას მეფობად **პრომთა** და **ბერძენთად**. ხოლო **კოსტანტინე** იყო ჭეშმარიტად ბრძენ და გონიერ. სრა უმეცარ-ექმნა მწოდებელსა მას თვსსა, არცა ეჯმნა მისგან, არამედ იცნა იგი და მისა დადგა სასოებად თვსი, და ძალითა მისითა ყოველნი წინააღმდეგომნი თვსნი იოტნა და მკურვალთა გულითა ქრისტე აღიარა ღმერთად, და წინამძღუარ ღმრთის-მსახურებისა იქმნა და მეყსეულად ბრძანა საკერპოთა დარღუევად და ეკლესიათა შენებად და პატივით განტევებად ყოველთადვე, რომელნიცა სახელისათვს ქრისტესისა დილეგთა შეწყუდეულ იყვნეს და ყოველნივე, რომელ იყო საფასე და შემოსავალი ტაძართა მათ საკერპოთა, ეკლესიათა მიანიჭა.

წითარ ესე ბრძანებად მიიწია რად ყოველსა საბრძანებელსა მისსა, გამოვიდეს აღმსარებელნი ქრისტესნი საპყრობილეთგან და კაცად-კაცადი სოფლად თვსად მივიდოდა. ჭაშინ ნეტარიცა ესე და დიდი **ნიკოლოზ** სამწყსოდ თვსად მივიდა შემკობილი გვრგვინთა წამებისადთა. სყო უკუე ნეტარი იგი პირველითგანცა სავსე მადლითა სულისა წმიდისადთა, არამედ, ვითარცა არს უფსკრული მადლისა მისისად აურაცხელი და მიუწდომელ, მოეფინა უმეტესითა უხუებითა წმიდასა მას ზედა და აღესრულებოდეს ველითა მისითა სასწაულნი დიდნი და კურნებანი სენთა მრავალთანი, და დიდებულ იყო სახელი მისი არა ხოლო თუ მორწმუნეთა შორის, არამედ ურწმუნოთაცა.

ოა მრავალნი მის მიერ მოიქცეოდეს საცთური-საგან კერპთადსა და აღიარებდეს ქრისტესა და ნათელ-იღებდეს.

ჭაშინ ბრძანებითა უფლისადთა აღაშენა ნეტარმან მან ეკლესიად დიდი და შუენიერი სადიდებელად უფლისა. ღოლო ღმერთშემოსილი იგი და სასწაულთ-მოქმედი მამად ზედვიდა რად სანახებსა მას შინა **მართონ** ქალაქისასა მრავალთა საკერპოთა ბომონთა და მრავალთა ეშმაკთა მათ ზედა მყოფთა, რომელნი ურიცხუთა სულთა წარსწყმედდეს, აღივსო შურიითა საღმრთოდთა წმიდად იგი და ახოვნად მოვლო ყოველი იგი ქუეყანად, და სადაცა პოვნა, ყოველნი დაარღვნა და განამტურინა და სულნი იგი არაწმიდანი რისხვით იოტნა, რამეთუ ვერ ველ-ქწიფებოდა მათ ყოვლადვე წინა-აღდგომად ბრძანებასა მისსა.

სე ქველის საქმე რად აღასრულა და განწმიდა სამწყსოდ თვსი გესლისა მისგან ეშმაკთადსა და ღუარძლი იგი ბოროტი აღმოჰფხურა, მოვიდა გულსა მისსა ღმრთისამიერ გულსავსებად, რადცა არცა **არტემ** კერპისა ტაძარსა ჰრიდოს, არამედ იგიცა მსგავსად სხუათა მათ დაარღვოს, რომელი-იგი იყო დიდ ფრიად და შუენიერად გებულ, შემკობილი და საწადელი ეშმაკთა საყოფელი. ჭაშინ შეკრიბა წმიდამან **ნიკოლოზ** ყოველი ერი მდდელთა და მორწმუნეთა და მიჰმართა ტაძარსა მას ეშმაკთასა და იწყო რღუევედ მისა და არა დასცხრა, ვიდრემდის საფუძველიცა აღმოთხარა. ჭამეთუ სიმადლენი მისნი ქუეყანად დააკუეთნა და სიღრმენი ჰაერად აღმოფხურა, ხოლო სიმრავლე იგი ეშმაკთად მუნ დამკვდრებული ყოვლადვე ვერ თავს-იღებდეს მოსლვასა ნეტარისასა, არამედ ივლტოდეს და განცხადებულად ვმობდეს: «რადსათვს გუაჟნებ ჩუენ, მონაო ღმრთისაო, რადსათვს გუდევნი საყოფელთაგან ჩუენთა».

სრუთ აღასრულა ახოვანი იგი საქმე ღმერთშემოსილმან მან და ქუეყანად თვსი საცთურისაგან ეშმაკთადსა განათავისუფლა, და დაუცხრომელად იქმნებოდეს მის მიერ სასწაულნი.

ღოლო მათ ჟამთა დიდმან მეფემან **კოსტანტინე** აღაშენა **ბიზანტიას** ქალაქი დიდი სახელსა ზედა თვსსა და წარემატებოდა ღმრთის-მსახურებასა შინა. ღოლო გამოჩნდა რად მათ დღეთა წვალეზად **არიოზისი**, ბრძანა კრებისა დიდისა შეკრებად მდდელთ-მოძღუართა მართლმადიდებელთად, ქალაქსა **ნიკიას**, დამტკიცებად მართლისა სარწმუნოებისა და წვალეებისა მის შეჩუენებად და ქადაგებად, ვითარმედ თანა-დაუსაბამო არს და

სწორ პატვიითა ძე ღმრთისად მამისა თანა, რადთა განწვალეზულნი იგი კერძონი შეიერთნენ. შაშინ ნეტარიცა **ნიკოლოზ** ერთი იყო წმიდისა მის კრებისად პატოცემულ ყოველთა მათ მამათაგან და ახოვნად წინა-ალუდგებოდა არიანოზთა გმობასა და მოსწრაფედ დაამტკიცა მართლმადიდებლობად, და *მრწამსი* სხუათა მათ მამათა წინაშე გამოთქუა და ყოველთა დაამტკიცეს იგი. შა განაწესეს, რადთა ყოველნი ქრისტეანენი იტყოდიან წმიდასა მას აღსაარებასა მართლმადიდებლობისასა. შიერ წარემართა მადლითა ქრისტესითა და წარვიდა საყდარსა თვსსა და ასწავლიდა ყოველთა მართალსა სარწმუნოებასა და ყოველსავე სათნოებასა, და ჰკურნებდა ყოველთა უძრულთა და ცისად-ცისად გუემულთა.

ქმნა უკუე მათ ჟამთა სიემილი ქუეყანასა მას **ლუკიასა** და დიდსა იწროებასა იყო **მირონ** ქალაქი. შაშინ აღვიდოდა ნავი დიდი სავსე ფრიადითა იფქლითა **კოსტანტინეპოლედ**. წიუენა წმიდად **ნიკოლოზ** ძილსა შინა მენავეთ-მოძღუარსა მას და ჰრქუა: «აღდეგ და მიიქეც **მირონ** ქალაქად და მუნ განვიდე ტურთი შენი. შა აჰა, სამნი ესე დრაჰკანნი შენდა წინდად და გამცნებ, ნუმცა შეურაცხ-გიყოფიეს სიტყუად ჩემი». სანილცა მენავეთ-მოძღუარმან მან და ჰოვნა სამნი იგი დრაჰკანნი კელსა თვსსა და ჩუენებად იგი მოივსენა და განკრვებული მიიქცა **მირონ** ქალაქად და იფქლი იგი განვიდა. ღოლო მკვდრთა მათ ქალაქისათა ექმნა დიდისა ნუგეშინისცემისა მიზეზად და დიდად ჰმადლობდეს ღმერთსა და წმიდასა მას მამასა **ნიკოლოზს**, გამომზრდელსა მათსა სულიერად და კორციელად.

13. შათ ჟამთა ქუეყანასა მას **ფრიგიისასა** იქმნა განდგომილება **ტაიფალონთაგან**. სმა ესე მეფესა **კოსტანტინეს** და ყო განზრახვად მთავართა თანა საქმისა მისთვს, და წარავლინა სამნი სპასალარნი, **ნეპოტიანე** და **ურსოს** და **ერპილიონ** სახელები მათი, და უბრძანა წარსლვად **ფრიგიას** მკედრებითა მათითა და დაწყნარებად შფოთისა მის და განდგომილებისა. შაშინ გამოვიდეს იგინი **კოსტანტინეპოლით** ნავებითა მრავლითა და მიიწინეს ქუეყანად **ლუკიასა**, ნავთ-სადგურსა მას **მირონ** ქალაქისასა, **ადრიაკი** იყო სახელი ნავთ-სადგურისად მის. სყო ქარი პირით-კერძო მათსა და ამისთვს არა კელ-წიფებოდა სლვად, არამედ სხდეს ნავთ-სადგურსა მას. სანვიდეს უკუე ვიეთნიმე მკედართაგანნი სყიდად საზრდელისა. ღოლო ვითარცა არს ჩუეულებად მკედართად, მიხუეჭით და მიტაცებით მორეწად საკმ-

რისა, ვერეთვე, მათცა კელ-ყვეს ქმნად. შა იქმნა შფოთი და ამბოხებად ადგილსა მას, რომელსა ეწოდების **ფიქლოან**.

სუწყა ესე წმიდასა **ნიკოლოზს** და არა უდ-
 5 ებ-იქმნა მისლვად ნავთ-სადგურსა მას. სუწყა მისლვად მისი ერისთავთა მათ და მსწრაფლ მკედრებითურთ მიეგებნეს და თაყუანის-ცემით მოიკითხეს. სკითხა ნეტარმან მან, თუ ვინაჲ მოვლენ, ანუ სადა წარვლენ. შიუეეს მათ და ჰრქუეს მათ: 10 «მეფისა მიერ მოვლენილნი ვართ **ფრიგიას** დაწყნარებად განდგომილებისა». შაშინ წარიყვანნა სამნი იგი მთავარნი წმიდამან **ნიკოლოზ** სტუმრებად და ნუგეშინის-ცემად. ღოლო მათ შფოთი იგი მკედართად მათ დააწყნარეს და კურთხევად 15 ნეტარისად მის მიიღეს და ნუგეშინის-იცეს და ენება წარსლვად.

შას ოდენ ჟამსა მოვიდეს ნეტარისა ამის წინაშე ვიეთნიმე მოქალაქენი, შეურდეს ფერკთა მისთა, ევედრებოდეს და ეტყოდეს: «შ მონაო 20 ქრისტესო, კელი-ალუპყარ უჯეროდ დასჯილთა და სიკვდილად მიმაგალთა სამთა კაცთა. შამეთუ მთავარმან **ვესტათი** საფასე დიდძალი მიიღო მოშურნეთა და უკეთურთა ვიეთმე კაცთაგან და სამთა უბრალთა კაცთად მოკლვად განაჩინა. შა ყოველი ესე ქალაქი იგლოვს ურჩულოებისა მისთვს და შეწვენასა შენსა მოელის, რამეთუ უკუეთუმ- 25 ცა დღეს განთიადითგან ქალაქსა შინა ყოფილიყავ, ბოროტიმცა ესე ბრძანებად არა გამოსრულ იყო». სმა რად ესე კაცსა ამას ღმრთისასა და მოწყალებისა მისისა მობაძავსა, აღივსო სული მისი შურიითა და კადნიერებითა საღმრთოთა, თანა წარიყვანნა ერისთავნი იგი და მოსწრაფედ წარემართა და მიიწია რად უბანსა ქალაქისასა, რომელსა **ლომ** ეწოდებოდა, ჰკითხა მუნ მყოფთა 35 კაცთა მათთვს. სრქუეს მათ, ვითარმედ ადგილსა მას, რომელსა **დიოსკორე** რქვან, აწ ოდენ მივიდოდეს. შიისწრაფა წმიდამან მან და წარჰვლიდა რად საწამებელსა წმიდისა **კრისკენტეს** და **დიოსკორიდესსა**, ეუწყა, ვითარმედ აწლა ბჰე ქალაქისად განვლეს და მიჰყვანან ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან **ბირან**. შა არს ადგილი იგი სასიკვდინე დასჯილთად.

ღოლო წმიდამან **ნიკოლოზ** უმეტესადლა მისწრაფა და მიიწია ადგილსა მას და იხილა 45 მუნ ერი მრავალი, ზოლო კაცნი იგი სამნი — შეკრულნი უკუდმართ პირდაბურვილნი და თავდადრეკილნი, განმზადებულნი სიკუდილად. შა მტარვალსა კელთა აქუნდა მახვლი წუდილი და კინი ოდენ ეგულებოდა წარკუეთად თავთა მათ-

თად. იხილა რად ესე წმიდამან მან, განკურდა იგი შურითა საღმრთოთა და მოსტაცა მახული იგი მეტრძღესა მას და დაადო იგი ქუეყანასა ზედა და კაცნი იგი განკსნა კრულებისაგან და საბურველნი იგი პირთა მათთაგან მოსდარცუნა და წარიყვანა იგინი ქალაქად. **ჟოლო ვერვინ** იკადრებდა დაყენებად მისა, რამეთუ დიდებულე-ბასა სათნოებათა მისთასა ყოველნი ჰმორჩილ-ობდეს და ერიდებოდეს. **ჰაშინ** კაცნი იგი, სიკუ-დილისაგან კსნილნი, ცრემლითა მკურვალთა ჰმადლობდეს და თაყუანის-სცემდეს და ყოველი იგი ერი ადიდებდა ღმერთსა, რომელმან მოს-ცა მათ ესევეთარი მწყემსი სახიერი, მობაძვი ჭეშმარიტისა მის მწყემსისა, რომელმან დადგა სული თვისი ცხოვართა თვსთათვს.

თა მიიწია რად ქალაქად, ეუწყა ესე მთავარ-სა **ვესტათის** და შეშინდა, რამეთუ დასჯილ-იყო თვისისა გონებისაგან. **ჰიეგება** წმიდასა მას და თაყუანის-სცა. **ჟოლო** მან ამხილა ურჩულოე-ბად მისი და ჰრქუა: «**ჰ** მსუმელო სისხლისაო და მკლველო უბრალოთაო, გარე-მიიქეც ჩემგან და ნუ მოზუალ პირად ჩემდა, ვინამთგან ესევი-თართა ურჩულოებათ ხარ მოქმედი და ბორო-ტის-მყოფელი გლახაკთა. უწყოდე, ამიერითგან არღარა გერიდებოდი და არცადა დაგითმო, არ-ამედ გაუწყო საქმე შენი მეფესა, და ღმრთისა მიმართაცა კელნი განვიპყრნე ჭრტინგად შენთვს, და ყოვლით-კერძო ბოროტი შეგამთხვო!» მაშინ მთავარი იგი შეუვრდა მას ვედრებით და ჰრქუა: «ვევედრები სიწმიდესა შენსა, წმიდაო მამაო, რად-თა არა განპრისხნე ჩემ ზედა, რამეთუ უბრალო ვარ მე საქმისა ამისგან. ჩამეთუ წარჩინებულთა ამის ქალაქისათა, **ვედოქსიოს** და **სიმონიდის**, მა-ქმნიეს საქმე ესე». **ჟოლო** უწყებულ-იყო წმიდისა მის, ვითარმედ ორასი ლიტრად ვეცხლი მიელო მთავარსა მას, რადთა მოკლნეს კაცნი იგი. **ჰიუგო** და ჰრქუა მას: «არა **ვედოქსიოს** და **სიმონიდის**, არამედ ოქროდ და ვეცხლი იქმნეს მიზეზ სი-კუდილსა უბრალოთადას, რომელ-იგი ქრთმად მიიღე». **ჰაშინ** ერისთავნი იგი ვედრნეს წმიდასა **ნიკოლოზს**, რადთა შეუნდოს მთავარსა მას ბრალი იგი. **თა** ყოველი ქალაქი აღივსო სიხარულითა საღმრთოსა მას შურსა და კადნიერებასა ზედა წმიდისა მის და ღმერთშემოსილისა მამისასა, ხოლო ერისთავთა მიიღეს ლოცვა და კურთხევა წმიდისა მის საგზლად და თანა-მოგზაურად და წარემართნეს გზასა თვისსა მშველობით. **ჰიიწინეს** **ფრიგაიდ** და შეწევნითა ღმრთისადა და ლოცვი-თა წმიდისა **ნიკოლოზისითა** ყოველივე საქმე მათი

კეთილად განუმარჯუდა და შფოთი იგი და განდ-გომილებად განაქარვეს, ქუეყანად დააწყნარეს და ყოველივე, რადცა მეფესა ებრძანა, აღასრულეს და სიხარულით მოიქცეს **ბიზანტიად**, რომელ არს **კოსტანტინეპოლელი**.

ჟოლო მეფემან დიდითა დიდებითა და პატვიითა შეიწყნარნა იგინი და ყოველნი მთავარნი მიგვეგ-ბად მათდა განავლინნა. **თა** იყვნეს იგინი მიერით-გან პალატსა შინა პატვიცემულ და სახელოვან წინაშე მეფისა და ყოველთა მთავართა, არამედ მოშურნეთა თუალთა ვერ თავს-იდვეს მათი იგი წარმატებად, რამეთუ რომელნიმე სპასალარნი გა-ნიხერხებოდეს შურისაგან. **ჰოუკდეს** **აბლაგიოს** ეპარხოსსა ქალაქისასა, რომელი იყო შემდგომი მეფისა და შეასმინნეს სამნი იგი ერისთავნი და თქუეს: «უწყებულ იყავნ შენდა, უფალო ჩუენო, ვითარმედ სამნი იგი სტრატეილატნი ბოროტსა განზრახვასა იგონებენ მეფისათვს და ესე დას-ტურობით გუეუწყა ჩუენ». **ისრეთ** განდრიკეს მათ გონებად ეპარხოსისა, რადთა ყოს წინაშე მეფისა მათთვს სიტყუად ბოროტი, რომლითა მოაკუდივნეს იგინი მეფემან და მისცეს მას ქრ-თამად ოქროდ ათასშუდასი ლიტრად. **ჟოლო** მან აღუთქუა მათ ყოფად ესე და შევიდა წინაშე მე-ფისა და ჰრქუა მას: «გვედრები შენ, დიდებულო თვთმპყრობელო მეფეო, რამეთუ სამნი იგი სპას-ალარნი, რომელნი მოვიდეს **ფრიგაიდათ**, ბოროტ-სა განიზრახვენ შენდა მომართ და ისწრაფიან წარწყმელასა მეფობისა შენისასა. ჩამეთუ მეუწყა მე ესე ზედა-მიწვევით. **სწ** უკუე, რად-იგი შენთვს უზრახავს, თავთა მათთა შეემთხვოს». **სანდრკა** გული მეფისა სიტყუათა მათთაგან და ბრძანა განუკითხველად საპყრობილეს მიცემა მათი, რადთა არა შეემთხვოს მათთაგან ძვრი და შეი-ყვნეს მთავარნი იგი საპყრობილესა და ყოვლადვე არა უწყოდეს მიზეზი შეწყუდებისა მათისა. და დაყვეს დილეგსა მას შინა ჟამი ფრიადი.

ჟოლო შემასმენელნი მათნი, ხედვიდეს რად განგრძობასა ჟამისასა, ეშინოდა, ნუუკუე გა-მოცხადნეს ცილისწამებად მათი და მიექცეს საღმრთად თავთა მათთა. **სმისთვს** მოუკდეს ეპარხოსსა და ჰრქუეს მას: «რადსათვს დაუტყვენ ცოცხალნი მტერნი იგი მეფისანი?! უწყოდე, რა-მეთუ საპყრობილესაცა შინა არავე დასცხრებიან, არამედ ღონესა ეძიებენ აღსრულებად ზრახვასა თვისსა». **ჟოლო** **აგლაგიოსს** ეშინოდა, ნუუკუე ვერ აღასრულოს სათხოველი კაცთა მათ და ოქროდ იგი დასჭირდეს. **ჰოუკდა** კუალად მეფესა მჭმუნ-ვართა პირითა და მრავალ-სახითა სიტყუთა ერთ-

გულობასა იჩემებდა. ძერმე ჰრქუა მას: «უწყოდე, მეფეო თვთმპყრობელო, მეუწყა ჭეშმარიტად სამთა მათ კაცთათჳს, რომელთად ჰბრძანე საყვრობილესა მიცემად. ვითარმედ არა დასცხრეს ზაკუვისაგან მათისა, არამედ ფარულად აღსძრვენ ერსა და ეძიებენ ბოროტსა ნაცვალად კეთილთა მათ, რომელ გიქმნიეს მათ ზედა. ჩუუკუე გვსწრან მათ და შეგუამთხვონ, რად იგი განუზრახავს ». შემფოთნა მეფე სიტყუათა ამით ზედა და ურვასა შთავარდა. ძყისვე იძლია რისხვისაგან, რადთა არა იყოს ზრუნვასა და საურავსა შინა დასაჯნა მოკლვად უბრალონი იგი. ჰიეცა განჩინებაჲ ესე მწუხრი და განწყესა განთიად მოკლვად მათი.

ჰაშინ მიუვლინა ეპარხოსმან მესაპყრობილეთ-მოძღუარსა და ჰრქუა: «მზამცა არიან სამნი იგი კაცნი, რამეთუ მეფესა უბრძანებიეს განთიად წარკუეთად თავთა მათთად». ვითარცა ესმა ესე მესაპყრობილეთ-მოძღუარსა, შეწუხნა მწუხარებითა დიდითა, რამეთუ იყო იგი მეგობარ მთავართა მათ. შევიდა წინაშე მათსა და მგლოვართა პირითა ჰრქუა მათ: «უმჯობეს იყო, უფალნო ჩემნო, უკუეთუმცა ყოვლადვე არა შემეცნიერებულ ვიყავ თქუენდა, არცამცა ესოდენი ჟამი დაგვეო ჩემთანა და არამცა აღვსებულ-იყო აწ გული ჩემი სიმწარითა. ჩამეთუ ზვალე განვემორებით ურთიერთას მწართა მით და საუკუნოდთა განშორებითა და არღარასადა ვიხილნე სასურველნი პირნი თქუენნი. სრცა საწადელიდა მესმას კჳმად თქუენი, რამეთუ ბრძანებაჲ გამოსრულ არს მეფისაგან, რადთა ზვალისა დღე მოიკლნეთ, არამედ ბრძანეთ სახლისა თქუენისა და საფასისა განგებაჲ უწინარეს აღსრულებისა თქუენისა და განშორებისა საწუთროდსაგან».

ჴოლო მათ, ვითარცა ესმა ესე მესაპყრობილეთ-მოძღურისაგან, დაიპეს სამოსელი მათი და იფხურიდეს თმასა თავისა მათისასა, ტიროდეს მწარედ და ღაღადებდეს საწყალობელითა კჳმითა და იტყოდეს: «რომლისა ბრალისა ანუ რომლისა მიზეზისათჳს წარვეწყმდებით, რომლისა შეცოდებისათჳს უბრალოდ მოვსწყდებით?» იწყეს უკუე ცრემლით ვედრებად ღმრთისა და ყოველთა წმიდათა.

ჰაშინ ერთსა მათგანსა, რომელსა ერქუა **ნებოტიანოს**, მოეცესნა წმიდაჲ **ნიკოლოზ** და რად-იგი ყო სამთა მათ კაცთა ზედა, ვითარ განარინნა იგინი სიკუდილისაგან უსამართლოდსა **მირონ** ქალაქსა შინა. ისაღატ-ყო კჳმითა მაღლითა და თქუა ტირილით: «უფალო ღმერთო წმიდისა **ნიკოლოზისო**, შემეწიე ჩუენ ჭირსა ამას შინა ჩუენსა და

შემიწყალენ ჩუენ, ვითარ-იგი იცსნენ სამნი იგი კაცნი სიკუდილისაგან მწარისა და უმსჯავროდსა. ჰი ცსნენ ჩუენცა და განმარინენ მოწვეწულისა ამისგან ბოროტისა. ჰოიხილე ჩუენ ზედა, უფალო, რამეთუ არავინ არს კაცთა შორის მწყალობელი. ჩამეთუ, აჰა ესერა, საღმობანი სიკუდილისანი გარე-მომადგეს ჩუენ და არავინ არს მკსნელ ჩუენდა, არცა მაცხოვარ. სჰა ესერა, ენანიცა ჩუენნი ცეცხლითა მით მწუხარებისადათა შემწუარ არიან და კჳმად ვორცთაგან ჩუენთა მოკლებულ არს და ვერცა თუ ვედრებადლა შენდა კელ-გუეწიფების. ჰსწრაფლ მეწიენ ჩუენ წყალობად შენი, უფალო, და გვცსნენ ჩუენ კელთაგან მათთა, რომელნი ეძიებენ სულთა ჩუენთა, რამეთუ ზვალე მოვსწყდებით. შემიწყალენ და შემეწიენ ჩუენ».

სა ვითარცა ესე სიტყუანი თქუნა **ნებოტიანოს**, ღაღატ-ყვეს სამთავე, ვითარცა ერთითა პირითა ტირილით და თქუეს: «მ წმიდაო მამაო **ნიკოლოზ**, მონაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, დაღატათუ შორს ხარ ვორცითა, არამედ ღოცვაჲ შენი მეწიენ ჩუენ და მიცსნენ განსაცდელისა ამისგან მწარისა, მეოხებითა შენითა, ქრისტეს ღმრთისა მიმართ». სა კუალად ღაღატ-ყვეს უფლისა მიმართ და თქუეს: «შეგვწყალენ, უფალო, და მსწრაფლ მეწიენ ჩუენ მეოხებითა მონისა შენისა **ნიკოლოზისითა** და განმარინენ ჩუენ უმსჯავროდსა ამის სიკუდილისაგან».

სჰმა ვედრებაჲ მათი სახიერსა მას მეუფესა და ღამბადებელსა ყოველთასა, რომელი სწყალობს მოშიშთა მისთა, ვითარცა ეწყალნ მამასა შვილი, და მსწრაფლ მოუვლინა მათ შემწედ მონად თჳსი **ნიკოლოზ**. ჩამეთუ მასვე ღამესა ერუენა ძილსა შინა წმიდაჲ **ნიკოლოზ კონსტანტინე** მეფესა და ჰრქუა: «აღდეგ მოსწრაფედ და განუტვეენ სამნი იგი ერისთაენი, რომელნი საპყრობილედ მიგეცემიან, რამეთუ უბრალო არიან და უსამართლოდ შესმენილ შენ წინაშე, და უმსჯავროდ განაჩინე მათ ზედა სიკუდილი, და უკუეთუ ურჩ მექმნე შენ, აღვძრა შენ ზედა განსაცდელი და ბრძოლაჲ დიდი და წყობად მტერთად, და ბოროტად წარსწყმდე სამეუფოდასაგან შენისა და მერმესა მასცა საუკუნესა დაისაჯო!» მიუგო მეფემან და ჰრქუა მას: «და შენ ვინ ხარ, რომელი მეტყჳ ამას, ანუ ვითარ შემოხუედ ჟამსა ამას პალატსა ჩემსა?» მიუგო წმიდამან და ჰრქუა: «მე ვარ **ნიკოლოზ**, მონად ქრისტესი, ებისკოპოსი **მირონ** ქალაქისაჲ». განჰკრთა მეფე ჩუენებისა მისგან და ბრძანა მოწოდებაჲ ეპარხოსისაჲ. ჴოლო მასვე ჟამსა ერუენა წმიდაჲ **ნიკოლოზ** ეპარხოსისადა და

პრქუა: «**აბლავიოს**, ვნებულო სულითა და გონებ-
ითა, მსწრაფლ აღდგე, და ილუაწე განტევებად
სამთა მათ სპასალართად, რომელნი უმშჯავროდ
შეაწყუდიენ საპყრობილესა. ჭკუეთუ კულა ურჩ
მექმნე, მოგავლინო შენ ზედა რისხვად საშინე-
ლი, და საჭმელ მატლთა იქმნენ კორცნი შენნი
და ბოროტად წარსწყმდე აქაცა და მერმესა მას
საუკუნესა!» მიუგო **აბლავიოს** და პრქუა: «ვინ
ხარ შენ, რომელი მეტყვ სიტყუათა ამათ?» პრ-
ქუა მას წმიდამან მან: «მე ვარ **ნიკოლოზ**, მონად
ქრისტესი, ებისკოპოსი **მირონ** ქალაქისად». გან-
იღვძა ეპარხოლმან და ძრწოდა გული მისი შიში-
საგან და იგონებდა, თუ რადმე არს ჩუენებად იგი.
ოა, აჰა ესერა, მოვიდა მწოდებელი მეფისაგან,
წარვიდა იგი წინაშე მეფისა და აუწყა მეფემან,
რად-იგი ეხილვა. ჭაშინ თანა-მზრახვალმანცა
მისმან მიუთხრა მსგავსივე ჩუენებად.

ჟოლო განთიად ბრძანა მეფემან მოყვანებად
სამთა მათ მთავართად წინაშე მისსა და იყვნეს
მუნ წარჩინებულნი მთავარნი მდგომარე წინაშე
მეფისა. სრქუა მეფემან კაცთა მათ: «მითხართ
მე, რომლითა გრძნებითა შეუძლეთ ესევითართა
სიზმართა მოვლინებად ჩუენ ზედა?» ზოლო იგინი
შიშით და ძრწოლით ღგეს და ვერარას იტყოდეს.
ძერმე მიუგო **ნებოტიანოს** და პრქუა: «გვედრე-
ბით შენ, თვთმპყრობელო მეფეო, ჩუენ გრძნებად
არა ვიცით, რამეთუ კაცნი ქრისტეანენი ვართ და
არცა ბრალი და შეცოდებად რად გვძღვს წინაშე
მეფობისა შენისა, მოწამე არს ღმერთი. ჟოლო
იპოოს თუ რადმე ზაკუვად ჩუენ თანა, უწყალოდ
მტანჯენ ჩუენ და ყოვლითურთ ნათესავით ჩუენით
მოვსწყდებით. ჭამეთუ ესე განცხადებული არს,
ვითარმედ სიჭაბუკითგან ერთგულებით გმონეთ
და აწ, ოდეს ბრძოლად განდგომილებისად აღდგა
მეუფებასა შენსა ზედა და წარმავლინენ მოღუ-
აწებად, საქმით ვაჩუენეთ ერთგულებად ჩუენი.
ოა გამარჯუებად ღმრთისა მიერ მოგუეცა. ოა
მიერითგან მოშურნედ მრავალნი აღგუდგეს და
უბრალოდ შეგუასმინნეს წინაშე შენსა, და ესერა
შთავცკვენი ბოროტთა ამათ შინა და რისხვეულ
ვიქმნენით თვთმპყრობელობისა შენისაგან».

ომათ სიტყუათა ზედა ღმობიერ-იქმნა გული
მეფისად და პრქუა მათ «მეცნიერ ხართა ვისამე,
სახელით **ნიკოლოზ**?» ზოლო მათ, ვითარცა ესმა
სახელი **ნიკოლოზისი**, კმა-ყვეს სამთავე, ვითარცა
ერთითა პირითა: «უფალო ღმერთო, წმიდისა **ნი-
კოლოზისი** მეოხებითა შემწე მეყავ ჩუენ. ჴითარცა
იკსნენ სამნი იგი კაცნი უმსჯავროდსა სიკუდი-
ლისაგან, გვკსნენ ჩუენცა ჭირისა ამისგან და

განსაცდელისა, რამეთუ უბრალოდ დავისაჯებ-
ით». ჴითარცა ესმა ესე მეფესა, პრქუა მათ: «ვინ
არს ესე **ნიკოლოზ**?» მიუგო **ნებოტიანოს** და პრ-
ქუა მეფესა: «მთავარებისკოპოსი არს **მირონ** ქა-
ლაქისად, ჴეცისა კაცი, მობაძავი ანგელოზთად». 5
მაშინ წარმოუთხრეს ყოველი საქმე წმიდისად მის
და ანგელოზებრი მოქალაქობად მისი და რად იგი
იხილეს საქმე მისისა საკურველთ-მოქმედებისად
და საღმრთოდსა კადნიერებისად.

ჟოლო **კოსტანტინე** მეფე ღმრთის-მსახურებ-
ითა და მონათა მისთა პატივ-ცემითა შემკობილ
იყო, და ყოველთა ღმერთშემოსილთა და წმი-
დათა კაცთა მოყუარე იყო. ᴚმა რად წმიდისა
ნიკოლოზისი და ხილვად იგი, რომელ ერუე-
ნა, მოეკსენა. ჴეუნდო ყოველი იგი ბრალობად
სამთა მათ მთავართა და პრქუა მათ: «უწყოდეთ,
ვითარმედ არა მე მიგანბნებ თქუენ ცხორებასა,
არამედ წმიდად **ნიკოლოზ**, რომელსა ხაღოდეთ
შემწედ თქუენდა, რომელმანცა ჩუენებასა და-
მისასა მიბრძანა განტევებად თქუენი. ᴚწ უკუე
წარვედით მისა და მოიკუეცეთ თმანი თავთა
თქუენთანნი მის წინაშე და მადლობით მოიკითხ-
ეთ და არქუთ ჩემ მაგიერ: აჰა ესერა, ბრძანებად
შენი აღმისრულებიეს, ნუდარა რისხვეულ ხარ
ჩემდა, არამედ მილოცე, რადთა კეთილად წარემ-
ართოს მეფობად ჩემი». ᴚა მისცა მათ მეფემან
ბარძიმი ოქროდსად და სახარებად ოქროდთა შემ-
კობილი და ორნი კელაპტარნი ოქროდსანი და
შესამოსელი საკურთხეველისად ოქროქსოილი,
რადთა მიიღონ შესაწირავად ეკლესიასა წმიდისა
ნიკოლოზისა.

ჟოლო მთავარნი იგი ესრეთ საკურველებით
მიემთხვნეს ცხორებასა და განთავისუფლდეს
სასჯელისა მისგან სიკუდილისა, წარემართნეს
სიხარულით და მიიწინეს წმიდისა **ნიკოლოზისი**
წინაშე. ჴეუერდეს ფერკთა მისთა და ცრემლით
ჰმადლობდეს მას კეთილისა მის წყალობისათჳს,
რომელ მან ყო მათ ზედა. ჴევიდეს ეკლესიადცა
წმიდისა მის თანა და ძღუენი იგი სამეუფოდ შე-
წირეს, ჰმადლობდეს უფალსა და იტყოდეს: «უფა-
ლო, უფალო, ვინმე გემსგავსოს შენ, რომელმან
იკსნი გლახაკი კელთაგან ძრიეღისათა» (ფს.
34,10) და შემდგომი ამისი. ᴚა განუყვეს გლახაკ-
თა საფასე ღიდძალი. ჟოლო წმიდამან **ნიკოლოზ**
განიხარა მათი იგი განმარჯუებად და კეთილად
ისტუმრნა, და ლოცვით და კურთხევით განუტევნა,
და მეფესა მადლობად მიუმცნო და ლოცვად და
კურთხევად. წარვიდეს მთავარნი იგი და მიერითგან
მშჳდობით იყოფოდეს საკუთრად მეფისა და ყოვ-

ელთა ღღეთა ცხორებისა მათისათა ჰმადლობდეს ღმერთსა და **ნიკოლოზს** მონასა მისსა.

14. **სევეითართა უკუე საკერველთა საქმეთა** მიერ უმეტესადღა ღლითი-ღლე განეფინებოდა ჰამბავი ნეტარისა მის ქუეყანასა და ზღუასა, ჭალაკთა და ქალაქთა, და ყოველნი ღოცვათა მისთა ხადოდეს. **ჟოლო** ოდესმე ნავი ღიდი მიეცა ღელვათა სასტიკთა და წარიკუეთეს მენავეთა მათ სასოებად ცხორებისა და ხადოდეს წმიდასა **ნიკოლოზს** შემწედ და მეოხად. **ოა აჰა ესერა**, მიიწია ნეტარი იგი მადლითა სულისა წმიდისა-თა ნავსა მას და განცხადებულად ეჩუენა კაცთა მათ და ჰრქუა: «აჰა ესერა, ვითარცა მიწოდეთ მე, მოვედ შეწევნად თქუენდა. **ოწ უკუე მცნე** იყვენით და ნუ გეშინინ». **ჰაშინ** თავადმან უპყრა საჭესა ნავისასა და ჰმართებდა მას კეთილად, მერმე შეჰრისხნა ღელვათა მათ და ნიაჟქართა, ვითარცა ოდესმე უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე, და იქმნა დაწყნარება და ნიავეთა **ნელიადითა** ვიდოდეს. **ოა** მიიწინეს რად ჰმელად, ეძიებდეს კაცნი იგი მცნელსა მას მათსა ღელვათაგან და ვერ ეწეოდეს. **ენეს უკუე**, ვითარმედ ეკლესიასა შინა არს. **ჰარვიდეს** მუნ და იხილეს იგი შორის მდღელთა მდგომარე და იცნეს. **ჰირბიოდეს** და შეუვრდეს ფერკთა მისთა, და მკურვალთა გუ-ლითა და, ვითარცა ერთითა პირითა, ჰმადლობდეს კსნისა მის მათისათვს სიკუდილისაგან და ყოველგან ქადაგებდეს სასწაულსა მას, რომელ ქმნა მათ თანა წმიდამან **ნიკოლოზ**. **ჟოლო** ნეტარ **ნიკოლოზ**, ვითარცა იყო ყოველთა სენთა და უძრულებათა ჴორციელთა მკურნალი, უმეტესადღა ჰკურნებდა ვნებათა მათ და უძლურებათა სულიერთა. **მწყოდა უკუე** სულისა მიერ წმიდისა მენავეთა მათთვს, ვითარმედ ცოდვათა თანამდებ იყვენეს და გარდამავალ მცნებათა ღმრთისათა. **ომისთვსცა** სიტკბოებით ასწავლიდა მათ და ეტყოდა: «გულისკმა-ყავთ, შვილნო, და განიცადენით გონებითა საქმენი თქუენნი და მოიქეცით სინანულად. **ჰამეთუ** დაღაცათუ კაცთაგან დაფარულ არიან საქმენი ჩუენნი, არამედ ღმრთისაგან არარად არს დაფარულ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «**კაცი პირსა ხედავენ, ზოლო ღმერთი გულსა**» (1 მეფ. 16,7). **ოწ უკუე** ნუ იქმთ ბოროტსა და არა გეწიოს თქუენ ბოროტი (შეად. რომ. 12,21). **სწავეთ** კეთილისა საქმე და სიწმიდე ჴორცთად მოიგეთ, რამეთუ «**ტაძარნი ვართ ჩუენ ღმრთისანი**» (1 კორ. 3,16). **ჟოლო** რომელმან ტაძარი ღმრთისად განკრწნას, განიკრწნას იგი სატანჯველითა, უკუეთუ არა სინანულითა

და ცრემლით განიბანოს მწინკულევანებად ცოდვისად. **აწ უკუე** თქუენცა პირველ-ქმნულთა მათვს ცოდვათა სინანული მოიგეთ, და ამიერთგან «**მოიქეცით ბოროტისაგან, ქმენით კეთილი**» (ფს. 33,14) და იყოს ღმერთი მარადის შემწე თქუენდა და გიცნას ბოროტისაგან». **სრეთ** იცნნა კაცი იგი დანთქმისაგან და განკურნნა სულთაცა მათთა წყლულებანი და მშდობით წარგზავნა.

15. **ჟოლო** იყო სანატრელი იგი ხილვითა მს-გავს ანგელოზისა, საესე მადლითა და სიწმიდითა, და ჰკრთებოდა პირით მისით ელვარებად ნათლისა და ღიდებულ იყო, ვითარცა **მოსესი**. **ოა** ვინცა იხილის იგი, ხილვითა ზოლო მისითა ღიდი წარმატებად მიეცის სათნოებათა მიმართ. **ოა წარმართთაგანიცა** ანუ მწვალებელთაგანი, უკუეთუ შეეძინეს და იწყის ოდენ წმიდამან მან სწავლად მისა, მყესეულად განეშორის კაცი იგი საცთურსა მას და მოიქცეს ჴუმმართებებისა სიტყუასა.

20. **სრეთ** აღასრულა ცხორებად თვსი ღმერთ-შემოსილმან მან და განაბრწყინვა მოქალაქობად თვსი მუშაკობითა სათნოებათად. **ოა** ვითარცა ჴუმმართად ნელსაცხებელმან სურნელმან და საწადელმან **მირონ** ქალაქით, რომელ ითარგმნების სურნელება, ყოველსა სოფელსა მიჰფინა სურნელებად სათნოებათა და სასწაულთა მისთად. და მიიწია სიბერესა კეთილსა, იქმნა მოხუცებულ და საესე ღღეთა შემკობილთა მადლითა ღმრთისად. **ჰამეთუ** კაცი იყო, უკმდა თანანადებისა მის ბუნებითისა აღსრულებად.

30. **სრთსა უკუე** კერიაკესა ჟამი წირა და რომელნიცა იყვენეს ღირსნი, ზუცად და ღიაკონად აკურთხნა, ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა და ყოველი იგი ერი კურთხევით განუტევა. **ოა** მცირედ დასწეულდა და იყო მაშინ უმეტესი გალობად ღმრთისად და მადლობად პირსა მისსა, რამეთუ უწყებულ იყო მისდა ამიერ სოფლით მიცვალებად. ამისთვს მხიარულ იყო და ბრწყინვალე. **ჰაშინ** განიპყრნა ჴელნი მისნი და წმიდად იგი სული მისი შეჰვედრა უფალსა, დაუტევა საწუთროდ ესე წარმაგალი და მიიცვალა წარუვალსა მას და სანატრელსა ცხორებასა, შუებად ანგელოზთა თანა და ხილვად ნათელსა მას წმიდისა სამებისასა, განცხადებულად და მიუაჩრდილებელად.

45. **ჟოლო** პატიოსანი იგი გუამი მისი ჴელითა წმიდათა ებისკოპოსთად და ყოველთა მათ მდღელთა და ერისა მის აურაცხელისა, რომელნი შეკრბეს მიცვალებასა მისსა, სურნელებითა და კერეონებითა, გალობითა და ქებითა დაესუენა ტაძარსა მას

შინა მირონ ქალაქისასა, მის მიერ აღშენებულსა, და მესსეულად აღმოეცენა წმიდისა მის გუამისაგან მიპრონი სურნელებისად, საკურნებელი ყოვლისაჲ სენისა სულიერისა და კორციელისა, რომელი დღეინდელად დღედმდე დაუწყუდედელად აღმოეცენების. ოა იქმნეს დღესა მასცა შესუენებისა მისისასა სასწაულნი და კურნებანი აურაცხელნი და მიერიოგან მარადის აღესრულებიან. ომისოცსა ყოვლით-კერძო შემოკრებოდეს შორიელნი და მახლობელნი ლოცვად წმიდისა მას სამარხოსა მისსა და მიღებად ევლოგიაჲ იგი სურნელებისად და უშურველი მადლი.

16. ოათ უკუე ჟამთა შორით ქუეყანით შეითქუნეს კაცნი მორწმუნენი მისლვად სამარხოსა მას ნეტარისა **ნიკოლოზისსა**, ლოცვად და ევლოგიისა მიღებად. ოანაშაღეს ნავი და მიიღეს საგზალი გზისად და ევსლებოდა წარმართებად. ოაშინ ბოროტი იგი ეშმაკი, რომელი ოდესმე **არტემიძე** ბომონსა და ტაძარსა შინა მკუდრ იყო, რომელი-იგი წმიდისა **ნიკოლოზის** მიერ განიდევნა, და ტაძარი იგი დაარღვა და დაამტურია ძკრის-კსენებითა მის ნეტარისადთა, განიზრახა შურის-გებაჲ ტაძარსა ზედა მისსა და სამარხოსა, რადთა აღაოკროს იგი და კაცთა მათცა მორწმუნეთა სარწმუნოებაჲ დააბრკოლოს. შეიცვალა სახედ დედაკაცისა და მოუკდა კაცთა მათ და აქუნდა კელთა ჭურჭელი საესე ზეთითა და ჰრქუა მათ: «გვედრები, უფალნო ჩემო, რამეთუ მესმიან სასწაულნი წმიდისა **ნიკოლოზისნი** და შემომზადებიეს ზეთი სურნელი და მწადოდა მისლვად თავით თვსით და შეწირვად ესე ტაძარსა მისსა, არამედ დედაკაცი ვარ უძრული და ვერ-შემძლებელ ვარ ესოდენთა გზათა წარსვლად. ოაფუცებ უკუე მადლსა მისსა, მიიღეთ ზეთი ესე და რაჟამს მიიწინეთ ტაძარსა მისსა, შთაასხით კანდელსა მას, რომელ არს სამარხოსა ზედა მისსა და სხუათა კანდელთა, რომელთაცა კმა-ეოს». ოლო იყო ჭურჭელსა მას შინა ძალი რადმე ეშმაკისად ბოროტი.

ოსმინეს კაცთა მათ ვედრებაჲ მისი და მიიღეს უკეთურებისა იგი ჭურჭელი. ოლო ვლეს რად დღისა ერთისა საგალი, ეჩუენა ღამით მონად ღმრთისად და მწე ჭირვეულთად **ნიკოლოზ** ერთსა კაცსა მათგანსა და ჰრქუა: «ჭურჭელი ეგე, რომელი მიგცა დედაკაციმან მან, მსწრაფლ ზღუასა შთაგდეთ». ოდღეს განთიად კაცნი იგი და ბრძანებაჲ წმიდისად მის აღასრულეს და შთაგდეს იგი

ზღუად, და მესსეულად აღეტყინა ალი საშინელი და გამოკდა კუამლი და სულ-მერალობაჲ სასტიკი, და წყალი იგი ზღვსად აღდუღდა და ოხრითა საშინელითა ღელვიდა და ნავი იგი მიახდა დანთქმად. ოლო კაცნი იგი განკვებრდეს და განკვრებულნი ურთიერთას ზედვიდეს და სასოებაჲ ცხორებისად მოაკლდა, არამედ მოღუაწე იგი ცხორებისა მათისად, რომელმან მის საძაგელისა მის ჭურჭლისა ზღუად შთაბნევაჲ უბრძანა, მესსა შინა გამოუჩნდა და ღელვისა მისგან განარინნა და საძაგელისა მისგან მყის განაშორნა, და სულ-მერალობისა მისგან განარინნა, და მოუვლინა მათ ნიავი ჰამოჲ და სურნელი და მშდობით მიუძღუა ნავთ-სადგურად. ზეთილად მიიწინეს უკუე **მირონ** ქალაქად, ილოცეს სამარხოსა მას ნეტარისასა და მიუთხრეს ყოველთა დიდებული იგი საკრეველი, რომელ ქმნა მათ თანა წმიდამან **ნიკოლოზ** და ყოველნი, რომელთა ესმა, აღიდებდეს ღმერთსა:

«ჭ ღმერთშემოსილო და სასწაულთა მოქმედო, მამაო **ნიკოლოზ**, ესრეთ გადიდა ღმერთმან ამასვე სოფელსა ცოცხალდა იყავ და შემდგომად მიცვალებისაცა შემსგავსებულად შრომათა და მოღუაწებათა შენთა. ოლო მერმისა მის საუკუნოჲსა დიდებაჲ შენი და პატივი და საშუებელი იგი არს, «რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელ-იგი განუშადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა»(1 კორ. 2,9).

ჭ დიდო მღდელთმთავარო და ბრწყინვალეო მოწამეო და გვრგვონოსანო ორითავე გვრგვნითა, რამეთუ კეთილად იღუაწე ქრისტესთვს და სიმკნე და აზოვნებაჲ და გულსმოდგინებაჲ შენი აჩუენე და ლოცვითა შენითა მპყრობელობაჲ იგი უღმრთოთა მეფეთაჲ დაჰკსენ, და ძღვეით-შემოსილი გამოხუედ საპყრობილით მადლითა ქრისტესითა ცხორებისათვს აურაცხელთა სულთაჲსა, და იქმნა უკუანაღსკნელი პატივი და დიდებაჲ შენი უმეტეს პირველსა. ოლო სადა-ეგე აწ მკუდრ ხარ, უზეშთაეს არს ბუნებისა ანგელოზთა თანა შუებაჲ და სასუფეველსა ცათასა ღგომად წინაშე წმიდისა სამებისა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ».